



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ლაშა მეტრეველი

განათლების სფეროს პროგრამებისა და პროექტების
დაფინანსების სტატისტიკური ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა, სტატისტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

ასისტენტ-პროფესორი

ზამირა შონია

თბილისი

2020

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია განათლების დაფინანსების სტატისტიკური ასპექტები, პროგრამებისა და პროექტების მიხედვით. განხილულია დაფინანსების მოდელები და მონაცემები მათი დაფინანსების წყაროების შესახებ.

სამაგისტრო ნაშრომის პირველ ნაწილში მოცემულია პროგრამული დაფინანსების არსი. მისი მნიშვნელოვნება ბიუჯეტის ეფექტიანობაში. მეთოდოლოგიაში აღწერილია სამინისტროების მიერ საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შედგენასთან დაკავშირებული საკითხები, პროცედურები და ინფორმაცია რას უნდა მოიცავდეს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები. მოცემულია სახელმწიფოსა და პარლამენტის მუშაობის ის ეტაპები, რომლებიც უნდა იყოს გავლილი პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას.

ნაშრომის მეორე ნაწილში მოცემულია განათლების ინსტიტუტების დაფინანსების მოდელები: პირიდაპირი და არაპირდაპირი დაფინანსებები; საბაზრო, საგრანტო და ექსელენს დაფინანსებები; ამ დაფინანსების განაწილების ფორმები. განხილულია ინსტიტუტების ავტონომიის დადებითი და უარყოფითი მხარეები. მოცემულია ევროპის, ეკონომიკური გაერთიანებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნების სტატისტიკა. მათ მიერ განათლებაზე გაწული დანახარჯები ერთ მოსწავლეზე/სტუდენტზე, პირიდაპირ, არაპირდაპირი და კვლევითი დანახარჯების წილობრივი განაწილება ზოგად და უმაღლესი განათლების ჭრილში. მონაცემების საფუძველზე გამოტანილია შესაბამისი დასკვნები. დამუშავებულია საქართველოს განათლების დანახარჯების სტატისტიკური მასალა განათლების სხვადასხვა საფეხურების მიხედვით: დაწყებითი, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი, სამეცნიერო. დამუშავებულია თითოეული მათგანის დაფინანსების სტატისტიკური ასპექტები.

Annotation

The master's thesis discusses the statistical aspects of education funding, according to programs and projects. Funding models and data on their funding sources are discussed.

The first part of the master's thesis is the essence of program funding. Its importance in budget efficiency. The methodology describes the procedures and information related to the compilation

of medium-term action plans by the ministers, which should include medium-term action plans. These are the stages of the work of the state and the parliament which must be passed during the drafting of the program budget.

The second part of the paper provides models for funding education institutions: direct and indirect funding, market, grant and excellency funding; forms of distribution of this funding. The pros and cons of institutional autonomy are discussed. The statistics of the countries of Europe, the Economic Union and the Organization for Cooperation are given. Their education costs in the context of general and higher education. Based on the data, relevant conclusions are drawn. The statistical material of Georgia's education expenses is processed according to different levels of education: primary, general, professional, higher, scientific. The statistical aspects of financing each of them are processed.

შესავალი	5
I თავი - პროგრამული ბიუჯეტირების თავისებურებები საქართველოში	
პროგრამული ბიუჯეტირების მეთოდოლოგიური საფუძვლები.....	7
პროგრამული ბიუჯეტირების დანერგვის ეტაპები და მისი თავისებურებები საქართველოში.....	11
II თავი - განათლების სფეროს პროგრამების დაფინანსების სტატისტიკური ასპექტები	
დანახარჯების სტატისტიკური ასპექტები, პირდაპირი, არაპირდაპირ და კვლევით პროექტების მიხედვით.....	15
განათლების სფეროს პროგრამების დაფინანსების სტატისტიკური ასპექტები 2012 წლიდან 2020 წლამდე.....	30
დასკვანა.....	54
გამოყენებული ლიტერატურა.....	58

შესავალი

განათლება წარმოადგენს ადამიანს ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას და მნიშვნელოვან პირობას ქვეყნის განვითარებისთვის. შესაბამისად ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლებისა და მეცნიერების სისტემის უზრუნველყოფა მთავრობების ერთ-ერთ მთავარი პრიორიტეტია და დეკლარირებულია როგორც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი.

განათლება მნიშვნელოვანია, რამდენადაც ის ზრდის შრომის პროდუქტიულობას და სწორედ მისი საშუალებით გარდაიქმნება ნედლეული საქონლად. იგი ასევე მნიშვნელოვანია, არსებული ტექნოლოგიების სწრაფად ათვისებისა და სწორედ გამოყენებისთვის. განათლებას ახასიათებს გადადინების ეფექტი და ერთი კონკრეტული ადამიანის მაღალი განათლების დონით, სარგებლობას იღებს არამხოლოდ კონკრეტული ადამიანი, არამედ მთლიანი საზოგადოება. მეტი განათლებული ადამიანი ქვეყანაში, ნიშნავს გამოშვების მაღალ დონდეს, ნაკლებ დანაშაულს, უკეთეს ჯანმრთელობას, მეტ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ჩართულობას.

თანამედროვე მსოფლიოში განათლებას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თუ ადრე ადამიანს ხელით უწევდა მუშობა პროდუქტიულობის შესაქმნელად, ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში, მუშახელი ჩანაცვლდა ტექნიკით, ხოლო მსოფლიო ეკონომიკის დიდმა წილმა მრეწველობიდან მომსახურებაზე გადაინაცვლა. ამიტომ ყველაფრის ფონზე იზრდება ადამიანური კაპიტალის როლი ეკონომიკაში. როდესაც ეკონომიკა მიაღწევს თავისი რესურსების გამოყენების მაქსიმალურ დონეს, ეკონომიკის ზრდის მთავარი განმაპირობებელი ხდება მომსახურება და მაღალი ტექნოლოგიები. ამ სფეროებში კი წარმატების მიღწევა მაღალი განათლების დონით არის შესაძლებელი.

განათლების და მეცნიერების სამინისტროს მთავრი მიზანი არის მოქალაქეები უზრუნველყოს ხარისხიანი განათლებით მთელი ცხოვრების მანძილზე, იმისათვის რომ სისტემამ თითოეული ადამიანი მოამზადოს მომავალი ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს დასაქმებას, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას.

ზემოთაღნიშნული მიზნის მისაღწევად ევროპაში მიიღეს დეკლარაცია „პროფესიული განათლებისა და მომზადების სფეროში ევროპული თანამშრომლობის გაძლიერების შესახებ“ (კოპენჰაგენის დეკლარაცია). ამ დეკლარაციის საფუძველზე ევროპულმა თანასაზოგადოებამ შექმნა ურთიერთთავსებადი, საერთო ღირებულებისა და მიდგომებზე დაფუძნებული პროფესიული განათლების სისტემა.

უმაღლესი განათლება არის ქვეყნის ქვაკუთხედი, რადგან ის არის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის წინაპირობა. უმაღლესი განათლების სხვადასხვა მოდელები მუშავდება ბევრ ქვეყანაში იმისთვის რომ უპასუხონ გამოწვევებს.

განათლების სისტემის და მისი დაფინანსების განხილვისას მნიშვნელოვანია დავახასიათოთ ის გზები, რომლითაც სახელმწიფო გადასცემს ასიგნებს საგანმანათლებლო ინსტიტუტებს. ზოგიერთი ინსტიტუტი თვითონ განსაზღვრავს პრიორიტეტებს და წყვეტს თუ რაში უნდა დაიხარჯოს მიღებული თანხები. ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტების დაფინანსების კრიტერიუმები, თუ რა სისტემით უნდა შეფასდეს მოსწავლე/სტუდენტი, გრანტების გადასაცემად.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის ობიექტი არის განათლების სისტემის პროგრამები და პროექტები. სტატისტიკური მასალის საფუძველზე შედარებულია ქვეყნების მიერ გამოყოფილი რესურსები განათლების სისტემაზე და ჩაშლილია ისინი მიზნობრიობის მიხედვით.

განათლების დაფინანსების სტატისტიკის დასახასიათებლად გამოვიყენებთ სტატისტიკურ მეთოდოლოგიებს და ისეთ მაჩვენებლებს როგორცაა დანახარჯები ერთ მოსწავლე/სტუდენტზე, დაფინანსების წილი მშპ_ში და განათლების ბიუჯეტში. მნიშვნელოვანია განვიხილოთ ასევე კერძო და სახელმწიფო დანახარჯების წილი მთლიან დაფინანსებაში.

განვიხილავთ საქართველოს განათლების სისტემის ბიუჯეტის სტატისტიკურ ასპექტებს, მაჩვენებლებს და დავახარისხებთ მათ მათი მიზნობრიობის, პროექტებისა პროგრამების მიხედვით.

I თავი - პროგრამული ბიუჯეტების თავისებურებები საქართველოში

პროგრამული ბიუჯეტების მეთოდოლოგიური საფუძვლები

იმისთვის რომ ხელისუფლებამ შეასრულოს თავისი ფუნქციები, საჭიროა საბიუჯეტო პროცესის ორგანიზება. საბიუჯეტო პროცესი მოიცავს ბიუჯეტის მომზადების, დაგეგმვის, დამტკიცების, შესრულების და ანგარიშგების პროცესს. თავად ბიუჯეტი წარმოადგენს ქვეყნის მთავარ ფისკალურ დოკუმენტს, რომლის საშუალებითაც ხელისუფლება ახორციელებს ყველა იმ ღონისძიებებს, რომელიც დაგეგმილი აქვს მიმდინარე წელს.

საბიუჯეტო პროცესს აქვს მოკლე ისტორია, თუმცა ამ მოკლე პერიოდში მოხერხდა, დაიხვეწა და გაუმჯობესდა და გაუმჯობესდა საბიუჯეტო პროცესი. პროგრამული ბიუჯეტი, არამხოლოდ ათვისებულ და გამოყენებულ ასიგნებებსს გვიჩვენებს, არამედ მიღწეულ შედეგებსაც. მის შედგენისას ყურადღება უნდა მიექცეს როგორც დამტკიცებულ და დაზუსტებულ, გეგმით გათვალისწინებულ ასიგნებებსა და საკასო შესრულებას შორის განსხვავებას, ასევე დაგეგმილ და მიღებულ შედეგებს შორის სხვაობას. ბიუჯეტის დაგეგმვისას ხელისუფლება ორიენტირებული უნდა იყოს საბოლოო და შუალედურ შედეგებზე, ასევე ყურადღება უნდა გაამახვილოს რესურსების გადანაწილებაზე. პროგრამული ბიუჯეტის შედგენის პარალელურად, უნდა შედგეს ის ინდიკატორები, რომელთაც შეფასდება საბოლოო და შუალედური შედეგი. ამავე დროს საჭიროა განისაზღვროს შედეგის მისაღწევად აუცილებელი პროგრამის ხარჯები. ხელისუფლებამ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს მიზნის შესასრულებლად საჭირო და არსებული რესურსები.

საბიუჯეტო პროცესის მეთოდოლოგიაში ასევე აღწერილია საშუალო ვადიანი გეგმის შესრულების დროს გამოყენებული პროცედურები და ის ინფორმაცია, თუ რას უნდა მოიცავდეს სამოქმედო გეგმა. ის ინდიკატორები, რომლითაც უნდა შეფასდეს შედეგები, მტკიცდება არა წლიური ბიუჯეტით, არამედ წარმოდგენილია ბიუჯეტის

თანდართულ დოკუმენტებში. ინდიკატორების განხილვისას აუცილებელია გავამახვილოთ ყურადღება, რომ იგი უნდა იყოს მაქსიმალურად რეალური, ზუსტი და შესრულების მაჩვენებელი მაქსიმალურად ეფექტურად განისაზღვროს. შედეგებზე ორიენტირებული პროგრამული ბიუჯეტირება არ არის ცალკე მდგომი ინიციატივა. არამედ იგი წარმოადგენს ფინანსების რეფორმების ნაწილს, რომელიც უნდა განვიხილოთ როგორც ფინანსებისა და შედეგების ურთიერთკავშირი. სწორედ ეფექტური მართვის შედეგების მისაღწევად ფართოდ გამოიყენება პროგრამული ბიუჯეტირება. მისი ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია გატარდეს საჯარო ფინანსების რეფორმები, ასევე ისეთი პროექტები, რომელიც საშუალებას მოგვცემს რესურსები გამოვიყენოთ ეფექტურად და ეფექტიანად. რეფორმებზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ სახელმწიფო შიდა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მენეჯერული ანგარიშვალდებულებების სტრუქტურა უკეთესად ჩამოყალიბდეს, უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები ეფექტიანად გადანაწილდეს და მიზნები მეტად პროდუქტიული იყოს. ამ ყველაფრით კი პროგრამული ბიუჯეტირება უფრო ხარისხიანი გახდება.

ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიური რეგულაციების შედეგად საბიუჯეტო ორგანიზაციების შიდა ორგანიზების საკითხები თანდათან მოექცევა სახელმწიფო შიდა ფინანსების კონტროლის სისტემაში. ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემასთან დაკავშირებული რეგულაციები რეგულირდება საქართველოს კანონით “სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ” და “ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ” ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის N133 დადგენილებით.

საშუალო ვადიანი გეგმა არის განახლებადი დოკუმენტი, რომელიც ყოველწლიურად მზადდება. მისი შედგენისას უნდა ვიხელმძღვანელოთ ქვეყნის ძირითადი მონაცემებით. უნდა განისაზღვროს დაფინანსების საორიენტაციო მაჩვენებლები და თუ არსებობს დამატებითი ფინანსების მოზიდვის საჭიროება, უნდა გაკეთდეს ცალკე, დამატებითი მითითებები. საშუალო ვადიანი გეგმის შესრულებისას სასურველია წარმოვადგინოთ ა) ღონისძიების აღწერა და მიზანი, ბ)

განმახორციელებელი, გ) მოსალოდნელი შუალედური საბოლოო შედეგები, დ) ღონისძიების შესრულების შეფასების ინდიკატორის საბაზრო მაჩვენებელი და ღონისძიების განხორციელების შედეგად მისაღები სამიზნე მაჩვენებელი, ასევე ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები, ე) დაფინანსების წყარო, ვ) ღონისძიების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა, არსებული დაფინანსების პირობებში და ასევე მთლიანობაში, ზ) დაფინანსების დამატებითი წყაროს არსებობის შემთხვევაში სამიზნე მაჩვენებლებში ცვლილება, თ) ინფორმაცია, იმის შესახებ ღონისძიება წარმოადგენს არსებული რეფორმის გაგრძელებას თუ ახალ პროექტს.

საბიუჯეტო პროცესის სამოქმედო გეგმა კიდევ უფრო დეტალურად უნდა იყოს ჩაშლილი: ღონისძიებებად და ქვეპროგრამებად. აუცილებელია ღონისძიებები იმგვარად უნდა იყოს ჩაშლილი, რომ მოხდეს თითოეული პროგრამის შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირის ან სტრუქტურული ერთეულის იდენტიფიკაცია. ღონისძიებები სამოქმედო გეგმაში უნდა იყოს დაჯგუფებული პროგრამებად და ქვეპროგრამებად და უნდა ისახებოდეს წლიურ ბიუჯეტში.

ბიუჯეტირებისას, საბიუჯეტო ასიგნებებისა და პროგრამების დაფინანსების ქვეთავში უნდა იყოს განსაზღვრული ის ზღვრული მოცულობები, რომლის ფარგლებშიც უნდა დაფინანსდეს პროგრამები. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს იმ დაწესებულებების დაფინანსების მოცულობა, რომელიც ბიუჯეტში არ არის წარმოდგენილი. ამ თავში ასევე აუცილებელია, გამოყოფილი იყოს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახადებისთვის გამოყოფილი ასიგნებები. პროგრამები და მათთვის გამოყოფილი რესურსები დაჯგუფებული უნდა იყოს მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით. თითოეული პროგრამა, ქვეპროგრამა და ღონისძიება ჩაშლილი უნდა იყოს კლასიფიკაციის პირველი თანრიგის მიხედვით, ხოლო “ არა ფინანსური აქტივებისა მათზე ოპერაციების” და “ფინანსური აქტივების და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის” მეორე თანრიგის მიხედვით. კლასიფიკაციაში აუცილებელია ცალკე გამოყოფილი იყოს შრომის ანაზღაურების მუხლი და წარმოდგენილი იყოს დაწესებულებების სამტატო რიცხვი. პროგრამულ ბიუჯეტში წარმოდგენილი უნდა იყოს წინა ორი წლის შესრულების

მაჩვენებლები და დაგეგმილი ბიუჯეტი გაყოფილი უნდა იყოს ორ ნაწილად: საბიუჯეტო სახსრებად და დონორების დაფინანსებად.

ინდიკატორები წარმოადგენს საშუალებას, რომლის დახმარებითაც ვაფასებთ საბოლოო და შუალედურ შედეგებს, თუ რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს. ამ ინდიკატორების შედგენისას აუცილებელია გავიაზროთ საბოლოო შედეგისა და შუალედურ შედეგებს შორის განსხვავება. პროგრამის საბოლოო შედეგით სარგებლობს ფართო საზოგადოება, ხოლო შუალედური შედეგი წარმოადგენს კონკრეტულ და გაზომვად ინფორმაციას, როგორცაა: მიღებული პროდუქტების რაოდენობა, გაწეული მომსახურების ხარისხი, ბენეფიციართა რაოდენობა და ა.შ.. საბოლოო შედეგის ინდიკატორი ზომავს ძირითად მისიას და ხშირ შემთხვევაში მისი გაზომვა ერთწლიან პერიოდში არ არის შესაძლებელი. შესაბამისად საბოლოო შედეგის ინდიკატორი უნდა იყოს მრავალწლიანი და მისი შეფასება უნდა მოხდეს მთელი ვადის განმავლობაში. საბოლოო შედეგის წლიური შეფასებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას მაჩვენებელი, რომლითაც განვსაზღვრავთ თუ სასურველი შედეგის რა ნაწილი იქნა შესრულებული მიმდინარე წელს. ინდიკატორები არ შეიძლება იყოს ერთჯერადი და მოკლევადიანი. მეორეს მხრივ ბევრი ინდიკატორების გამოყენება არაეფექტურია. რეკომენდირებული გამოყენებული იყოს არაუმეტეს 5 ინდიკატორისა. სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი გამოყენებული იყოს გენდერული ინდიკატორი. შედეგების ინდიკატორი უნდა ზომავდეს მაჩვენებელ, რომელიც არის რეალისტური და მიღწევადი. მისი შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- კონკრეტული - მისი გაგება უნდა შეძლოს ყველა დაინტერესებულმა მხარემ, უნდა იყოს ნათელი და ადვილად აღსაქმელი;
- გაზომვადი - შესაძლებელი უნდა იყოს მიღწეული შედეგის გაზომვა;
- მიღწევადი - პროგრამის განხორციელება შესაძლებელი უნდა იყოს. არ უნდა მოხდეს მიზის ზედმეტად ობტიმისტურად ან პესიმისტურად დასახვა;
- შესაბამისი- ინდიკატორი სწორად უნდა იყოს შერჩეული, შედეგს ადვილად უნდა ზომავდეს;

- დროში გაწეული - შესაძლებელი უნდა იყოს ინდიკატორის მიხედვით პროგრამის შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში.

პროგრამული ბიუჯეტების დანერგვის ეტაპები და მისი თავისებურებები საქართველოში

პროგრამული ბიუჯეტი არის ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ფისკალურ ჩარჩოს და მასში წარმოდგენილი არის მხარჯავი დაწესებულებების დაფინანსების მოცულობები. საბიუჯეტო წლის განმავლობაში სამინისტროების მიერ თავიანთი სამოქმედო გეგმების სტრატეგიების, ახალი პოლიტიკის განსაზღვრის და ახალი ვალდებულების აღების შემთხვევაში, უწყებებმა უნდა გაითვალისწინონ არსებული რესურსები, რათა შეასრულონ აღებული ვალდებულებები.

საქართველოს ბიუჯეტის მომზადების პირველი ეტაპი იწყება ყოველი წლის პირველ მარტამდე, როდესაც საქართველოს მთავრობამ უნდა განსაზღვროს მხარჯავი დაწესებულებების ნუსხა, რომლებიც ჩაერთვებიან დასაგეგმი წლებისთვის ძირითადი მონაცემების დოკუმენტის მომზადებაში და ასიგნებების დახარჯვაში. პარალელურად საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება ინფორმაციის ნუსხა და მათი წარმოდგენის ვადები, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს ძირითადი დოკუმენტის მომზადების პროცესში. მთავრობის დადგენილების მიხედვით, ფინანსთა სამინისტროში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაციები:

- გასული ორი წლის განმავლობაში დაგეგმილი პროგრამების და ღონისძიებების ჩამონათვალი, მათზე მიმართული სახსრები და მათი განხორციელებით მიღწეული შედეგები;
- მიმდინარე წელს დაგეგმილი პროგრამების და ღონისძიებების ჩამონათვალი, მათზე მიმართული სახსრები და მოსალოდნელი შედეგები;

- დასაგეგმი წლისთვის მხარჯავი დაწესებულებების ჩამონათვალი პრიორიტეტულობის მიხედვით, მათი მოკლე აღწერა, მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები, რომლითაც უნდა შეფასდეს შედეგები;
- დასაგეგმი წლის საშუალოვადიანი ბიუჯეტი, რომელიც ჩაშლილი იქნება პროგრამების მიხედვით;
- დასაგეგმი წლისთვის მხარჯავ დაწესებულებებში დასაქმებულთა ზღვრული მოცულობები;
- დასაგეგმი წლისთვის ასიგნებების ზღვრული მოცულობები.

დასაგეგმი წლებისთვის მხარჯავმა დაწესებულებებმა უნდა წარმოადგინონ დასაქმებულთა საორიენტაციო რიცხოვნობა და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები. წარმოდგენილ დოკუმენტებში გამიჯნული უნდა იყოს მოთხოვნები არსებული პოლიტიკის, ახალი ვალდებულებების და ახალი ინიციატივების მიხედვით.

ზემოთაღნიშნული ინფორმაციების მიღების შემდეგ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს სხვა სამინისტროებთან ერთად ამზადებს დოკუმენტს სამთავრობო დაწესებულებების ძირითადი მიმართულებებისა და ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზების შესახებ, რომელიც წარედგინება საქართველოს მთავრობას. მთავრობა განიხილავს აღნიშნულ დოკუმენტებს და შემდგომ გადაუზღავს საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად. პარლამენტის შესაბამისი კომიტეტები აკეთებენ დასკვნას, რომლის საფუძველზე სამინისტროები ამტკიცებენ თავიანთ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმას და უზღავნიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. ამ მონაცემების და დოკუმენტების საფუძველზე ფინანსთა სამინისტრო ამზადებს ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს.

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სტრუქტურის მიხედვით:

- დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის მიერ დასახული მიზნები, თუ რისი მიღწევა სურს საშუალოვადიან პერიოდში და რა ძირითადი სამოქმედო გეგმებია დასახული მიზნების მისაღწევად;

- მოცემული უნდა იყოს ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური სიტუაციის ანალიზი, ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები, მათი ფაქტობრივი და საპროგნოზო მაჩვენებლები;
- მაკროეკონომიკური სიტუაციის აღწერის შემდგომ წარმოდგენილი უნდა იყოს გასული ორი წლის ბიუჯეტის შესრულების შედეგები;
- შემდგომ ნაწილში მოცემული უნდა იყოს მიმდინარე საბიუჯეტო წლის და დასაგეგმი წლების ნაერთი და სახელმწიფო ბიუჯეტის აგრეგირებული მაჩვენებლები;
- წარმოდგენილი უნდა იყოს დასაგეგმი წლის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები, რომლის ფარგლებშიც მხარჯავი დაწესებულებები ახორციელებენ პროგრამებსა და ქვეპროგრამებს;
- წარმოდგენილი უნდა იყოს დასაგეგმი წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ჩამონათვალი და ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობები. ასიგნებების საორიენტაციო ზღვრულ მოცულობაში არ უნდა იყოს გათვალისწინებული დონორების დაფინანსებული ან თანადაფინანსების და თანამონაწილეობის ასიგნებები;
- დოკუმენტის შემდეგ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს მთავრობის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად დაგეგმილი პრიორიტეტული მიმართულებები, მათი მოკლე აღწერა, მათ ფარგლებში მხარჯავი დაწესებულებების მიერ დაგეგმილი პროგრამები, თითოეული მათგანის აღწერა და მოსალოდნელი შედეგები;
- დოკუმენტის ბოლო ნაწილში მოცემული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში დაწესებულებების მიერ დაგეგმილი თითოეული პროგრამის დაფინანსების ზღვრული მოცულობა დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის.

საბიუჯეტო დოკუმენტებს თან უნდა ახლდეს დანართები, სადაც წარმოდგენილი იქნება განახლებული მაკროეკონომიკური პროგნოზები.

საქართველოს თითოეული სამინისტრო ვალდებულია, კანონით გათვალისწინებულ ვადებში მოამზადოს და დაამტკიცოს თავისი საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და დოკუმენტებისგან და საფუძვლად უნდა დაედოს ქვეყნის ბიუჯეტს.

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები მომზადებული უნდა იყოს 30 ივნისამდე. ამ პერიოდამდე პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებების საორიენტაციო ზღვრული მოცულობების განახლება.

გეგმების დამტკიცებისას საბაზო გეგმა უნდა ეფუძნებოდეს ამ პერიოდისათვის მოქმედ ქვეყნის ძირითადი მონაცემებს, მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრულ ზღვრულ მოცულობებს და ასიგნებების პირველად საორიენტაციო მოცულობებს. ახალი პოლიტიკის გეგმების დაფინანსებაზე ინფორმაცია, რომელთა განხორციელებისთვის საჭირო არის სხვა ბიუჯეტის გარე დაფინანსება, შესაძლებელია დამტკიცდეს ცალკე დანართის სახით. წლიური ბიუჯეტის კანონის დამტკიცების შემდგომ ამ დანართიდან ის ღონისძიებები, რომლებიც მოიპოვებენ დაფინანსებას უნდა დაემატოს საბაზო გეგმას.

II თავი - განათლების სფეროს პროგრამების დაფინანსების სტატისტიკური ასპექტები

დანახარჯების სტატისტიკური ასპექტები, პირდაპირი, არაპირდაპირ და კვლევით პროექტების მიხედვით

განათლების დონის დასახასიათებლად იყენებენ მოსახლეობის აღწერას. აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით ხდება მოსახლეობის განაწილება განათლების დონის მიხედვით, განზოგადებულ მაჩვენებელზე დაყრდნობით. ეს მაჩვენებლები ახასიათებენ გარკვეული განათლების დონის მქონე ადამიანებს. გავრცელებულია განათლების დონის შემდეგი მაჩვენებლები:

- წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა 9-49 წლის მოსახლეობაში (პროცენტებში);
- პირთა რიცხვი რომელთაც გააჩნიათ უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი, საშუალო სპეციალური და საშუალო (სრული და არასრული);
- განათლება ყოველ 1000 კაცზე 15 და მეტი ასაკის მოსახლეობაში;
- პირთა რიცხვი, რომელთაც გააჩნიათ უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი, საშუალო სპეციალური და საშუალო (სრული და არასრული) განათლება ყოველ 1000 დასაქმებულ მოსახლეზე;
- 15 და მეტი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა ყოველ 1000 კაცზე, რომელთაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება.

აღწერის შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავადგინოთ მოსახლეობის განათლების დონე ქალაქებსა და სოფლებში, ქალებსა და მამაკაცებში. განათლების

დონესა და ასაკობრივ სტრუქტურას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. მაგალითად მოსახლეობაში 25-45 ასაკობრივი ჯგუფის ხვედრითი წილის ზრდა, რომელთაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება, იწვევს განათლების დონის მაჩვენებლების ზრდას. დასკვნები მიიღება ერთგვაროვანი სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების განათლების დონეების შედარებით. განზოგადებული მაჩვენებლების მოსახლეობის სტანდარტულ ასაკობრივ სტრუქტურასთან შეწონვით ხდება:

$$\bar{e} = \sum \bar{e}_i w_i^1$$

სადაც e_i არის ჯგუფში განათლების საშუალო რიცხვი;

w - - ჯგუფის ხვედრითი წილი მოსახლეობაში, რომელიც მიღებულია სტანდარტით.

განათლების დონის განსაზღვრისა და მის მიხედვით რეგიონების, სქესის, ასაკობრივი ჯგუფების შედარებისას შეიძლება გამოვიყენოთ ინდექსები:

$$I = \frac{\sum \bar{e}_i S_i}{\sum S_i}$$

სადაც \bar{e} არის - ჯგუფში განათლების საშუალო რიცხვი;

S - შესაბამისი ჯგუფის რაოდენობა.

უმაღლესი საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის დაფინანსებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი არის 2014 წლის დასკვნითი ანგარიში “უმაღლესი განათლების დაფინანსება ლატვიაში ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი“ ეს ანგარიში არის ლატვიის განათლების სისტემის შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობაზე და ასახავს ლატვიის დაფინანსების სუსტ და ძლიერ მხარეებს ზოგად კრიტერიუმებთან შესაბამისობაში. ეს კრიტერიუმები არის საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით შედგენილი და დამოუკიდებელი ქვეყნის კონტექსტიდან.

კვლევაში წერია რომ უმაღლესი განათლება არის ქვეყნის ქვაკუთხედი, რადგან ის არის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის წინაპირობა. უმაღლესი განათლების სხვადასხვა მოდელები მუშავდება ბევრ ქვეყანაში იმისთვის რომ უპასუხონ გამოწვევებს. იმის მიუხედავად, რომ ლატვიას აქვს უმაღლესი განათლების დაბალი ხარისხი, მშპ_სთან მიმართებაში და შეადგენს 2%-ს. აღნიშნულ კვლევაში განხილულია

¹ს. გელაშვილი, ზ. შონია, რ. ქინქლაძე. სოციალური სტატისტიკა. თბ., 2013

ისეთი საკითხები, რომელიც მნიშვნელოვანია ზოგადად უმაღლესი განათლების სფეროში. ამ კვლევაში მოცემულია დასკვნები, რომელიც დაფუძნებულია როგორც კერძო ასევე სახელმწიფო საქონელზე. სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა არის ყველაზე საკამათო უმაღლესი განათლების დაფინანსების სფეროში, რომელიც მოიცავს გადასახადებსა და სესხებს. სწავლის გადასახადი სხვა დაფინანსებებთან ერთად ქმნის შემოსავალს უმაღლესი განათლების ინსტიტუტებისთვის. ლატვიის მაგალითზე შეჯამებულია რომ ინსტიტუტების ავტონომია იძლევა უკეთეს შედეგს ფინანსური და მატერიალური კუთხით და ეს ყველაფერი მიიღწევა ინსტიტუტების სტრატეგიების თავისუფალი ორიენტირებით. ხელისუფლება განათლების სისტემაში ხარჯავს ფულს იმისთვის, რომ გაატარონ შემოსავალზე ორიენტირებული პოლიტიკა. ლატვიაში ფინანსური რესურსების მიზანმიმართვა ეფუძნება სამ პრინციპს

- საბაზისო დაფინანსება
- შესრულებაზე დაფუძნებული დაფინანსება
- ტექნიკური სასწავლო პროფილების დაფინანსება და ინოვაციების მხარდაჭერა¹

აღსანიშნავია რომ ლატვიას აქვს დივერსიფიცირებული უმაღლესი სასწავლებლის სექტორი, რომლებიც განსხვავებულია რეგიონების საჯარო სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მიხედვით. უნივერსიტეტებს აქვთ ფინანსური ავტონომია და ასევე სწავლაზე მორგებული დაფინანსება რაც უზრუნველყოფს განათლების ხარისხის ამაღლებას. ლატვია გამოირჩევა სრულ დაფინანსებაზე მყოფი სტუდენტებით. დაფინანსების წილი ძირითადად მოდის ევროკავშირიდან ხოლო სახელმწიფო დაფინანსება მიდის ისეთ ხარჯებზე როგორცაა სტუდენტების დაფინანსება საგრანტო წესით, მიზნობრივი სასწავლო-კვლევითი დაფინანსება, სტუდენტური სესხების დაფინანსება, სამეცნიერო კვლევების დაფინანსება. ლატვიის უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელი მოიცავს 4 ძირითად განზომილებას

- უმაღლესი განათლების ავტონომია - რაც გულისხმობს თანხების თავისუფალ განკარგვას.

¹ World Bank, (Final Report 18 March 2014), „Higher Education Financing in Latvia - Analysis of Strengths and Weaknesses“

- ფინანსური რესურსების დივერსიფიკაცია - რაც გულისხმობს ევროკავშირის დაფინანსებას, სწავლების საფასურს, საბაზრო შემოსავლებს, კვლევებიდან შემოსავლებსა და ტრანსფერებს.
- უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსებას
- სტუდენტების მიერ დაფინანსება, რაშიც შედის სწავლის საფასური, სტუდენტური სესხები.

განათლების ევროპული სისტემა მრავალფეროვანია და ერგება ყველა სხვა ქვეყნების სისტემებს. საბაზისო დაფინანსების მიზანი არის უზრუნველყოს განათლების სისტემის პროგნოზირებები და სანდო დაფინანსება, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებს მისცემს საშუალებას შეასრულოს სწავლების ან კვლევის მთავარი ამოცანები. ასევე დაფაროს საოპერაციო ხარჯების ძირითადი ნაწილი. საჯარო ხელისუფლება საბაზო დაფინანსებას ანაწილებს ბლოკ გრანტების მეშვეობით რომლის მოცულობა შეიძლება განისაზღვროს მოლაპარაკებებით ან დაფინანსების ფორმულებით. მათი მოცულობები განსხვავებულია განათლების სისტემის მიხედვით. ეს მოდელი გულისხმობს ინსტიტუტების დაფინანსებას მათი წარსულის სწავლებისა და კვლევის შედეგების მიხედვით. დაფინანსების მოდელის ერთერთი ფორმა არის ინოვაციებსა და პროფილზე ორიენტირებული დაფინანსება, რომელიც ასევე შეიძლება შეგვხვდეს მიზნობრივი დაფინანსების ან სტრატეგიული დაფინანსების სახელით. ეს დაფინანსების მოდელი გულისხმობს მომავალში განსახორციელებელ მიმართულებების გათვალისწინებას. ასეთი დაფინანსების მოდელი არსებობს ირლანდიაში.

გაერთიანებულ სამეფოში არსებობს განათლების ინოვაციებზე დაფუძნებული დაფინანსება. ხოლო გერმანიაში დაფინანსება სტრატეგიულ კვლევების განსახორციელებლად.

ევროპაში თანდათან უფრო პოპულარული ხდება საბაზისო და მოთხოვნაზე ორიენტირებული დაფინანსება რაც არ გულისხმობს აკადემიური პერსონალზე გაწეული და წარსული დანახარჯების გათვალისწინებას. ასევე აქტუალური ხდება შესრულებაზე დამყარებული ფორმულით დაფინანსება რაც უნივერსიტეტებს საშუალებას აძლევს დაისახონ ინიციატივები. ასევე მნიშვნელოვანი საკითხია

სტუდენტების წვლილი განათლების ინსტიტუტების დაფინანსებაში, რაც გამოიხატება სტუდენტური სესხებით და სტუდენტური გადასახადებით. სამართლიანობის კუთხით ეს მიდგომა ხანდახან იწვევს დიდ კრიტიკას, თუმცა საკითხი ყველა ქვეყანაში აქტუალურია. ზოგადად არსებობს უმაღლესი განათლების საფასურის ორი პოლიტიკა საფასურის გადავადებული გადახდა და წინასწარი. წინასწარი გადახდა რომელიც დამოკიდებული არაა სტუდენტის ან მისი ოჯახის შემოსავლების მოცულობაზე და გადავადებული საფასური, რაც გულისხმობს რომ სტუდენტი გადაიხდის სწავლის გადასახადს კურსის დამთავრების შემდეგ შემოსავლის მოცულობის მიხედვით. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს ისწავლონ უფასოდ და გადაიხადონ საფასური კურსის დამთავრების შემდეგ. ეს მეთოდი ყველაზე გავრცელებული არის გაერთიანებულ სამეფოში. იმ ქვეყნებში სადაც ეს სისტემები არსებობს სტუდენტები სწავლის პერიოდში თანხას ან იხდიან ან არა. იმ ქვეყნებში სადაც არსებობს სახელმწიფო სუფსიდირება მთავრობა აფინანსებს სტუდენტებს.

საინფორმაციო ფურცელში „National Student Fee and Support Systems in European Higher Education” ინფორმაცია მოცემული არის უნივერსიტეტის პირველი და მეორე საფეხურის შესახებ. აღნიშნულ წერილში გათვალისწინებული არ არის სტუდენტთან საცხოვრებლის ტრანსპორტირების და კვების ხარჯები. წერილში ნაჩვენებია რომ ევროპის ქვეყნების უმეტესობაში და ძირითადად სკანდინავიის ქვეყნებში არ არსებობს სტუდენტების სწავლის საფასური. ხოლო იმ ქვეყნებში სადაც სწავლა არის ფასიანი ბაკალავრიატზე საფასური აღწევს 5000 ევროს. ასეთი ქვეყნები არის ესტონეთი, ირლანდია, ლიტვა, უნგრეთი, სლოვენია, გაერთიანებული სამეფო, თურქეთი. ისეთ ქვეყნებში როგორცაა უნგრეთი, ლიტვა და სლოვენია სტუდენტები იღებენ დაფინანსებას სახელმწიფოს მხრიდან. სახელმწიფო აფინანსებს სტუდენტებს მათი აკადემიური მოსწრებით. ამ სისტემას გააჩნია უარყოფითი მხარე რადგან დაფინანსების ეს მოდელი არ უზრუნველყოფს სოციალურ თანასწორობას.

ესტონეთი არის ქვეყანა, რომელმაც შეცვალა საფასურის სისტემა 2013- 2014 წლებში და მიაბეს იგი სწავლის ხარისხს. სტუდენტი რომელიც შეძლებს ერთ სემესტრში 30 კრედიტის დაგროვებას შეუძლია ისწავლოს უფასოდ ხოლო ნაკლები

კრედიტის მქონე სტუდენტებს უნივერსიტეტი უწესებს გადასახადს. სწორედ ამიტომ ესტონეთში სწავლის გადასახადი მერყეობს 0-7200 ევრომდე.

ინგლისმა გაატარა რადიკალური რეფორმა 2013 წელს და სწავლის საფასურის გადახდა აქ ხდება კურსის დამთავრების შემდეგ როდესაც სტუდენტებს აქვთ შემოსავლის გარკვეული რაოდენობა. დიდ ბრიტანეთში არსებობს გრანტის ორი ფორმა პირველი გაიცემა ფინანსური საჭიროებების მიხედვით მეორე აკადემიური დამსახურების საფუძველზე. საჭიროების მიხედვით გაცემული გრანტი ხშირად გამოიყენება ევროპის ქვეყნებში. გრანტის ეს ორივე სახე გვხვდება ბელგიაში საბერძნეთში და იტალიაში. გერმანიაში, ლიხტენშტეინსა და ნორვეგიაში არსებობს კომბინირებული სისტემა. ნაწილობრივ გაიცემა გრანტი, ნაწილობრივ სესხი. ამ ქვეყნებში ასევე განხილული არის სტუდენტების დახმარება სოციალური მდგომარეობის მიხედვით. ამ შემთხვევაში სისტემა განიხილავს ცალკე ინდივიდს ან ოჯახთან ერთად და განსაზღვრავს სჭირდება თუ არა ფინანსური დახმარება. ევროპის უმრავლეს ქვეყნებში სტუდენტის დახმარებას განიხილავენ ოჯახის ფინანსურ მდგომარეობასთან ერთად, ხოლო სკანდინავიურ ქვეყნებში სტუდენტი განიხილება როგორც ინდივიდი.

ლიტვაში არსებობს სამი ტიპის სტიპენდია აკადემიური დამსახურების მიხედვით, სოციალური მდგომარეობის მიხედვით და სასწავლო სტიპენდია. სტიპენდია აკადემიური დამსახურების მიხედვით რეგულირდება უნივერსიტეტის მიერ. სოციალური სტიპენდია არის დაბალი სოციალური მდგომარეობის მქონე სტუდენტებისთვის.

ნებისმიერი დაფინანსების მექანიზმი ხელს უნდა უწყობდეს სწავლების ხელმისაწვდომობას მიუხედავად სასწავლო კურსის ტიპისა.

საბჭოთა პერიოდში უმაღლეს განათლების საფეხურზე არსებობდა დიდი ნაკლოვანებები. როდესაც განათლება იყო სრულიად უფასო სახელმწიფო განსაზღვრავდა ფაკულტეტზე ადგილების რაოდენობას და ასევე სახელმწიფო აწვდიდა მათთვის სასურველი პროფესორების რაოდენობას.

გერმანიაში არსებობს უნივერსიტეტის დაფინანსების სამ დონიანი სისტემა; საბაზო, საგრანტო და ე.წ. ექსელენს ინიციატივა. საბაზო დაფინანსების დროს

მთავრობა არის უნივერსიტეტის სტაბილური განვითარების და კვლევების დამფინანსებელი. საგრანტო დაფინანსების შემთხვევაში საგანმანათლებლო დაფინანსება ხდება კერძო კომპანიების მიერ. ექსელენს ინიციატივა არის მესამე დონის დაფინანსება რომელიც მიმართულია მაღალ რეიტინგებადი უნივერსიტეტებისაკენ და გამოიყენება სადოქტორო სკოლებისა და საუნივერსიტეტო კვლევებისათვის. გერმანიაში საგანმანათლებლო და სამეცნიერო განვითარებას საბაზო დაფინანსება უზრუნველყოფს.

ქვეყნები განსხვავდებიან იმის მიხედვით თუ ვინ განკარგავს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ფინანსებს. როგორც წესი ეს თანხა შეიძლება გადანაწილდეს სამი ვარიანტის მიხედვით. დაფინანსება შეიძლება გადაეცეს პირდაპირ უმაღლეს სასწავლებელს, გადაეცეს შინამეურნეობებს ან სხვა არასახელმწიფო დაწესებულებებს. შინამეურნეობებზე გაცემული ფინანსები შეიძლება კიდევ დავყოთ გრანტებად და სტუდენტურ სესხებად. ჩვეულებისამებრ ფინანსების უმეტესი ნაწილი გადაეცემა უმაღლეს სასწავლებლებს. საქართველოში უმაღლესი დაფინანსების ვაუჩერული ტიპი არის თითქმის ერთადერთი.

ბოლო პერიოდში ევროპის ქვეყნებში უმაღლესი დაწესებულებების დაფინანსების სისტემა იცვლება. აქ ძირითადად ფინანსების უმეტესი ნაწილი გადაეცემა პირდაპირ სასწავლებლებს და არსებობს დაფინანსების ორი წესი: ბლოკ გრანტების მიღება და მუხლობრივი დაფინანსება. ბლოკ გრანტები გულისხმობს რომ თანხას დაწესებულებები განკარგავენ თავიანთი შეხედულებისამებრ და სახელმწიფოს შეთანხმებაში კონკრეტული დანიშნულება არ აქვს ჩადებული. ამ დაფინანსების წყარო ძირითადად გამოიყენება ისეთი ხარჯებისთვის როგორებიცაა პერსონალის ანაზღაურება, მიმდინარე ხარჯები და კვლევის ხარჯები.

მუხლობრივი დაფინანსება გულისხმობს, რომ უნივერსიტეტებს თანხა გადაეცემა კონკრეტული დანიშნულებით და მათ უფლება არ აქვთ საკუთარი შეხედულების მიხედვით გამოიყენონ ეს დაფინანსება. ასეთი დაფინანსების სახე გამოიყენება: საბერძნეთში, ჩეხეთში, კვიპროსში, ბულგარეთსა და ლატვიაში.

სახელმწიფო დაფინანსების ერთ-ერთ სახე არის ფორმულებზე დაყრდნობით. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში სწორედ ფორმულების მეშვეობით ნაწილდება გრანტები. ამ ფორმულებში შეიძლება გათვალისწინებული იყოს წინა წელს ჩარიცხული

სტუდენტების რაოდენობა ან პოტენციურ რაოდენობა, თუ რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია უნივერსიტეტს. ზოგიერთ ქვეყანაში დაფინანსების გამოსათვლელ ფორმულაში გამოყენებული არის ისეთი პარამეტრები როგორცაა უნივერსიტეტის შენობის ექსპლუატაციის ხარჯი (საფრანგეთი, ფინეთი), ადგილმდებარეობა (გაერთიანებული სამეფო) პერსონალის რაოდენობა (საბერძნეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, პორტუგალია)

ბოლო წლებში აქტუალური ხდება პროგრესული დაფინანსება, რომელსაც უკვე ევროპის ქვეყნების ნახევარი მიმართავს. ამ მიდგომის მიხედვით ფორმულაში გათვალისწინებულია ისეთი ინდიკატორები როგორცაა უნივერსიტეტის დასრულების მაჩვენებელი, პერსონალის კვალიფიკაცია (პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი), უნივერსიტეტების შეფასების შედეგები (საბერძნეთი, ლიტვა, პორტუგალია).

განათლებაზე გაწეული დანახარჯების საერთაშორისო ინდიკატორები ფასდება განათლების საქონლისა და მომსახურების მიხედვით, ასევე განათლების პროგრამებით. ინსტიტუციონალური განზომილებები არის მნიშვნელოვანი, სახელმწიფოს მიერ განათლების ინსტიტუტებს გარეთ გაწეული ხარჯები ზრდის სწავლის და ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. დანახარჯები განსხვავდება დანიშნულების მიხედვით: საგანმანათლებლო და არასაგანმანათლებლო; პირველადი და მეორეული.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ განათლების ხარჯების ცხრილი, რომელიც აგებულია 3 განზომილების მიხედვით:

- ინსტიტუტების ადგილმდებარეობა (ინსტიტუტებს შიგნით ან გარეთ)
- საქონლით და მომსახურებით ვაჭრობა ან მომარაგება (პირველადი და მეორეული საქონელი)
- რესურსების მიმწოდებლები (საერთაშორისო, სახელმწიფო და კერძო)¹

პირველი განზომილება - ნაჩვენებია ჰორიზონტალურ ღერძზე, გამოსახვას ადგილმდებარეობას სადაც დაფინანსება მიდის. დანახარჯები განათლების

¹ OECD "Education at a Glance 2019"

ინსტიტუტებზე მოიცავს სკოლისა და უნივერსიტეტების დაფინანსებას, არასაგანმანათლებლო დანახარჯები მოიცავს სამინისტროს და სხვა სააგენტოების დანახარჯებს, რომლებიც ხელს უწყობენ განათლების სექტორს. ეს ხარჯები ასევე ფარავენ ისეთ ხარჯებს როგორცაა წიგნების, კომპიუტერების შესყიდვა, კერძო გაკვეთილები. სტუდენტების საცხოვრებლის და ტრანსპორტირების ხარჯები.


მეორე განზომილება - ნაჩვენებია ვერტიკალურ ღერძზე, კლასიფიკაციას უკეთებს საქონელს და მომსახურებას. პირდაპირი დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ მიმართულია განათლების ინსტიტუტებზე. მოიცავს ისეთ ხარჯებს როგორცაა მასწავლებლების ანაზღაურება, შენობების შენახვა, სკოლის ადმინისტრაცია, საგანმანათლებლო საგნების შესყიდვა. ამის გარდა არის სხვა სახის დანახარჯები რომლებიც პირდაპირ არ მიდის ინსტიტუტებზე. OECD_ ს ქვეყნებში არაპირდაპირი ხარჯების სახეები განსხვავებულია. ამ ხარჯის ტიპიდან აღსანიშნავია დანახარჯები საკვებზე, ტრანსპორტირებაზე, ასევე მასწავლებლის მომსახურება, რომელიც ეხმარება სტუდენტს უმაღლესი განათლების საფეხურზე. ასევე აღსანიშნავია რომ ზოგიერთი ხარჯი არის განათლების ინსტიტუტებს გარეთ, მაგალითად როდესაც ოჯახი ყიდულობს წიგნებს ან იყვანს კერძო მასწავლებელს.

მესამე განზომილება - გამოსახულია ფერებით, გამოსახავს თუ საიდან მოდის დაფინანსება. ეს მოიცავს საერთაშორისო, კერძო და საოჯახო მეურნეობების/კერძო ინსტიტუტების დანახარჯებს. ასევე შემთხვევებს როდესაც სახელმწიფო ასუბსიდირებს კერძო სექტორს. მწვანე ფერი აღნიშნავს სახელმწიფო და საერთაშორისო დაფინანსებას, ლურჯი კერძო დაფინანსებას, ხოლო ნაცრისფერი - კერძო სექტორის სუბსიდირებას, სახელმწიფოს მიერ.

		დანახარჯები განათლების ინსტიტუტებზე სკოლები, უნივერსიტეტები, ადმინისტრაცია	განათლების ინსტიტუტებს გარეთ დანახარჯები კერძო შესყიდვები საგანმანათლებლო საქონელზე
პირდაპირი დანახარჯები		სახელმწიფოს და საერთაშორისო დანახარჯები	სახელმწიფო სუბსიდია სასკოლო საქონლის შესასყიდად
		სახელმწიფოს სუბსიდირება კერძო სექტორს კერძო დანახარჯები	კერძო დანახარჯები სასკოლო საქონელი, კერძო გაკვეთილები
არაპირდაპირი დანახარჯები	დანახარჯები კვლევისა და განათლებაზე	სახელმწიფო და საერთაშორისო დაფინანსებები უნივერსიტეტების კვლევები კერძო დანახარჯები კვლევები	
	დანახარჯები სხვა საქონელსა და მომსახურებაზე	სახელმწიფო და საერთაშორისო დაფინანსება საკვები, სკოლაში ტრანსპორტირება, საცხოვრებლის ხარჯი სახელმწიფო სუბსიდირება კერძო სექტორს საცხოვრებლის, საკვების, ჯანმრთელობის სერვისის სუბსიდირება	სახელმწიფოს სუბსიდირება კერძო სექტორს საცხოვრებლის და მგზავრობის სუბსიდირება
		კერძო დანახარჯები	კერძო დანახარჯები

საშუალოდ OECD-ს ქვეყნებში დანახარჯი პირდაპირ პროგრამებზე (მასწავლებლების ხელფასი, შენობების შენახვა, სასწავლო აღჭურვილობა, წიგნები და ადმინისტრაციული ხარჯები, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული ხარჯებთან) წარმოადგენს მთლიანი დანახარჯების 87%-ს და აღემატება 90%-ს ისეთ ქვეყნებში, როგორც არის ლატვია, ჩილე, პოლონეთი. OECD-ს ქვეყნების მესამედში რომლებსაც აქვთ ემპირიული მონაცემები ყოველ წლიური დანახარჯი ერთ სტუდენტზე, რომელიც გაწეული არის კვლევაზე და განვითარებაზე და დამატებითი მომსახურებაზე, შეადგენს მთლიანი დანახარჯის 15%-ს. სლოვაკეთის რესპუბლიკაში და ჩეხეთში ეს სიდიდე აღწევს 20%-ს.


გრაფიკი 2.1: დაწყებით და საშუალო განათლებაზე გაწეული დანახარჯების განაწილება პროგრამების მიხედვით



ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საშუალო განათლების პირდაპირი დანახარჯების საშუალო ერთ სტუდენტზე არის 8 722 აშშ დოლარი, ხოლო არაპირდაპირი დანახარჯები 634 აშშ დოლარი. ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებლები შესაბამისად არის 9 000 და 649 აშშ დოლარი. პირდაპირი

დანახარჯების სიდიდით გამოირჩევა ლუქსემბურგი 18 541 აშშ დოლარი. არაპირდაპირი დანახარჯების სიდიდით გამოირჩევა საფრანგეთი 1 285 აშშ დოლარი.

გრაფიკი 2.2: უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯები პროგრამების მიხედვით (აშშ დოლარი)



ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების უმაღლეს განათლებაზე გაწეული პირდაპირი დანახარჯების საშუალო არის 10 351 აშშ დოლარი, არაპირდაპირი ხარჯები 704 აშშ დოლარი, კვლევას და განვითარებაზე გაწეული ხარჯები - 4 499. ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებლები შესაბამისად არის 10 017, 617, 5 228 აშშ დოლარი. პირაპირი ხარჯებით გამოირჩევა ლუქსემბურგი 26 841 აშშ დოლარი, არაპირდაპირი ხარჯით აშშ - 4 075 აშშ დოლარი, კვლევაზე და განვითარებაზე გაწეული ხარჯით გამოირჩევა ლუქსემბურგი და ამ პროგრამის დაფინანსების მოცულობა არის 20 451 აშშ დოლარი. უმაღლესი განათლების მთლიანი ბიუჯეტიდან პირდაპირ დანახარჯებზე ყველზე მეტ წილს ხარჯავს ლატვია - 80%. არაპირდაპირი დანახარჯების წილით გამოირჩევა აშშ - 12%, კვლევებისა და განვითარების წილით გამოირჩევა - შვედეთი 55%.

დაწყებითი და საშუალო განათლების ხარჯებში დომინირებს დანახარჯები რომელიც გაწეულია პირდაპირ დანახარჯებზე. OECD-ს ქვეყნებში განათლების ამ საფეხურზე მთავარი დანახარჯებზე მოდის მთლიანი დანახარჯების 93%-ი. ფინეთში, საფრანგეთში, სლოვაკეთის რესპუბლიკაში, შვედეთში მეორად დანახარჯებზე გაიწევა 10%-თ მეტი ვიდრე სხვა ქვეყნებში.

უმაღლესი განათლების საფეხურზე დანახარჯების დიდი ნაწილი მოდის მთავარ დანახარჯებზე ისევე როგორც კვლევასა და განვითარებაზე. საშუალო OECD-ს ქვეყნებში უმაღლეს განათლებაში მთავარ დანახარჯებზე მოდის 67%-ი და კვლევებზე 30%-ი მთლიანი დანახარჯებისა. OECD-ს ქვეყნებში სადაც კვლევებზე იხარჯება უმაღლესი განათლების დანახარჯების დიდი ნაწილი გამოირჩევიან ერთ სტუდენტზე უფრო მეტი დანახარჯებით ვიდრე იმ ქვეყნებში სადაც კვლევებზე დანახარჯის დიდი ნაწილი გაიწევა სხვა ინსტიტუტების მიერ. კვლევების დანახარჯების გამოკლებით საშუალო დანახარჯები ერთ სტუდენტზე OECD-ს ქვეყნებში არის 6.000 აშშ დოლარიდან (ლიტვა, მექსიკა) 25.000 აშშ დოლარამდე (ლუქსემბურგი, აშშ). OECD-ს ქვეყნებში საშუალოდ ერთ სტუდენტზე კვლევასა და განვითარებაზე და მეორეული დანახარჯებზე გაწეული დანახარჯები არის მთლიანი დანახარჯების 33%.

OECD-ს ხუთ ქვეყანაში სადაც არსებობს შესაბამისი ემპირიული მონაცემები დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე და არაპირდაპირ სერვისზე არის მთლიანი დანახარჯების 54%. არაპირდაპირი დანახარჯების სიდიდე უმაღლეს განათლებაში უფრო დაბალია ვიდრე განათლების სხვა დაბალ საფეხურებზე. საშუალოდ უმაღლესი განათლების დანახარჯების 5% მიდის არაპირდაპირი სერვისის ხარჯებზე. გაერთიანებული სამეფო და აშშ უმაღლესი განათლების არაპირდაპირი დანახარჯები აქვთ ყველაზე მეტი, 2000 აშშ დოლარი ერთ სტუდენტზე.

განათლების პოლიტიკის შემქმნელები დაინტერესებული არიან კავშირი დაადგინონ განათლებაზე გაწეული დანახარჯებსა და მის მომგებიანობის შორის. განათლების დანახარჯები დამოკიდებული არის არა მხოლოდ ყოველ წლიური დანახარჯებზე არამედ სწავლის ხანგრძლივობაზეც. მაღალი დანახარჯები ერთ სტუდენტზე შეიძლება გამოწვეული იყოს მოკლე ვადიანი პროგრამით და დაბალი ხელმისაწვდომით.

OECD-ს ქვეყნებში დაწყებითი და საშუალო განათლება არის სავალდებულო. OECD-ს ქვეყნებში მთლიანი კუმულატიური დანახარჯები ერთ სტუდენტზე 6-15 წლამდე არის დაახლოებით 92.700 აშშ დოლარი და ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვეყნების შორის. ავსტრია, ლუქსემბურგი, ისლანდია, შვედეთი და აშშ

ხარჯავენ განათლების მთლიან პერიოდზე 120.000 აშშ დოლარს ერთ სტუდენტზე როდესაც ეს სიდიდე კოლუმბიაში და თურქეთში შეადგენს 50.000 აშშ დოლარს.

- 2016 წელს OECD ქვეყნებში განათლებაზე საშუალოდ დაიხარჯა მთლიანი შიდა პროდუქტის 5% განათლების ყველა საფეხურზე. ეს მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით იყო განსხვავებული. საშუალო განათლების ინსტიტუტების საშუალო განათლებაზე დახარჯული იყო მშპ 3,5%. 1,5% მეტი ვიდრე უმაღლეს განათლებაზე.
- კერძო სექტორი თამაშობს დიდ ფინანსურ როლს უმაღლეს განათლებაზე მთლიანი დანახარჯების 1/3 ან მშპ-ის 0,5%. საშუალო განათლებაზე კი იხარჯება მთლიანი დანახარჯების 1/10 ან მშპ-ის 0,4%.
- 2010 -2016 მთლიანი დანახარჯები განათლების ყველა დონეზე შემცირდა 1/3 ჯერ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ დანახარჯები განათლების ინსტიტუტებზე უფრო ნელა იზრდებოდა ვიდრე მშპ.¹

ქვეყნები ინვესტიციას დებენ განათლებაში იმისთვის რომ წახალისონ ეკონომიკური ზრდა, პროდუქტიულობა, პერსონალური და სოციალური განვითარება და შეამციროს სოციალური უთანასწორობა. არსებობს სხვადასხვა ფაქტორები რომლებიც მოქმედებენ დანახარჯების სიდიდეზე ეს ფაქტორები არის: სკოლაში მოსწავლეების რაოდენობაზე, ანაზღაურებაზე, ორგანიზაციების სტრუქტურაზე. უნივერსიტეტებში და კოლეჯებში კურსის დამთავრების მაჩვენებელი OECD-ეს ქვეყნებში არის დაახლოებით 100%. ეს მაჩვენებელი იცვლება და დაკავშირებულია დემოგრაფიულ ცვლილებებთან . ეს მაჩვენებელი არის უფრო დაბალი დამამთავრებელ კლასებში და უმაღლეს სასწავლებლებში რადგან ბევრი ადამიანი ტოვებს განათლების სისტემას. განათლების ინსტიტუტებზე დანახარჯები შესაბამისი უნდა იყოს ქვეყნის სიმდიდრესთან და პრიორიტეტს აძლევდეს მას ქვეყნის ფუნქციებში. ქვეყნის სიმდიდრე დამოკიდებული არის მშპ-ზე მაშინ როდესაც დანახარჯები განათლებაზე დამოკიდებული არის მთავრობის ბიუჯეტზე, მეწარმეებზე, სტუდენტებზე და მათ ოჯახებზე. ისინი ფარავენ დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია სკოლებთან და უნივერსიტეტებთან. ბიუჯეტი

¹ OECD "Education at a Glance 2019"

მკაცრად კონტროლდება მთავრობის მიერ და ეკონომიკური დაღმართის დროს შეიძლება განათლებაზე გამოყოფილი ასიგნებებიც კი შემცირდეს.

- კერძო სექტორის დაფინანსება საშუალოდ არის OECD ქვეყნების მშპ-ს 0,9% (მას შემდეგ რაც კერძო და სახელმწიფოს სექტორს შორის ტრანსფერების გადანაწილება მოხდება).
- 2010-2016 წლამდე მთავრობის დანახარჯი უმაღლეს განათლებაზე მცირედით შემცირდა(4%) დაწყებით და საშუალო განათლების საფეხურზე ეს შემცირება იყო უფრო მაღალი საშუალოდ 8%.¹

კერძო სექტორთან ერთად განათლებაზე, როგორც საშუალო ასევე უმაღლეს საფეხურზე, ხარჯავს კერძო სექტორიც. ტრანსფერების შესრულების შემდეგ, კერძო სექტორის საშუალო დანახარჯი განათლებაზე OECD_ს ქვეყნებში არის მშპ_ს 0,9%. ქვეყნები დიდად არ განსხვავდებიან კერძო სექტორის ჩართულობით და მათი დანახარჯების წილი მშპ_ში არის 0,1%-დან (ფინეთი, ლუქსემბურგი, ნორვეგია) 1.9%-მდე (ავსტრალია, ჩილე, გაერთიანებული სამეფო, აშშ).²

საშუალო განათლების საფეხურზე კერძო სექტორის ჩართულობა არის უფრო დაბალი და საშუალოდ შეადგენს OECD_ს ქვეყნების მშპ-ს 0.4%-ს. ამ მაჩვენებლით ლიდერობენ ისეთი ქვეყნები როგორებიცაა: აუსტრალია, კოლუმბია, მექსიკა, ახალი ზელანდია, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო, სადაც კერძო სექტორის ჩართულობა მშპ_ს 0.7%-ზე მეტია. უმაღლესი განათლების საფეხურზე კერძო ინვესტიციების წილი საშუალოდ OECD_ს ქვეყნებში არის მშპ_ს 0.5%. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ჩილეს და აშშ_ს სადაც ეს პროცენტული მაჩვენებელი 1.6%-ია.

ცხრილი 1: ზოგადი განათლების დაფინანსება წყაროების მიხედვით (მშპ_ს წილი)

	ნორვეგია	ისრაელი	ფინლანდია	შვედეთი	საფრანგეთი	კორეა	თურქეთი	აშშ	OECD საშუალო	EU23 საშუალო	სლოვენია	პოლონეთი	ლატვია	ესპანეთი	გერმანია	ესტონეთი	იაპონია	ლიტვა	რუსეთი
სახელმწი	4.6	4.0	3.8	3.8	3.4	3.1	2.7	3.2	3.1	3.0	2.9	2.9	3.1	2.6	2.6	2.7	2.4	2.4	2.0

¹ OECD “Education at a Glance 2019”
² OECD “Education at a Glance 2019”

ფო დაფინანს ება																			
კერძო	0.0	0.5	0.0	0.0	0.3	0.5	0.9	0.3	0.4	0.3	0.3	0.3	0.1	0.4	0.4	0.2	0.2	0.1	0.1


ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების დაწყებითი და საშუალო განათლების კერძო დანახარჯებზე იხარჯება მშპ-ს 3.12%. ევროპის ქვეყნებში 3%. დაწყებით და საშუალო განათლებაში კერძო დანახარჯებით გამოირჩევა თურქეთი (მშპ_ს 0.88%), ხოლო სახელმწიფო დანახარჯებით გამოირჩევა ნორვეგია მშპ_ს 4.56%.

ცხრილი 2: უმაღლესი განათლება დაფინანსების წყაროების მიხედვით (მშპს_წილი)

	აშშ	ნორვეგია	თურქეთი	კორეა	ფინეთი	შვედეთი	ესტონეთი	OECD საშუალო	საფრანგეთი	ესპანეთი	EU23 საშუალო	ბერმანია	პოლონეთი	რუსეთი	ლიტვა	ლატვია	სლოვენია	სლოვაკეთი	იტალია
სახელმწი ფო დაფინანს ება	0.9	1.8	1.4	0.7	1.6	1.4	1.4	1.0	1.1	0.8	0.9	1.0	1.0	0.7	0.8	0.7	0.9	0.7	0.6
კერძო	1.6	0.1	0.5	1.1	0.1	0.2	0.2	0.5	0.3	0.4	0.3	0.2	0.2	0.4	0.3	0.3	0.1	0.3	0.3

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების უმაღლესი განათლების კერძო დანახარჯებზე იხარჯება მშპს 0.96%. ევროპის ქვეყნებში 0.94%. უმაღლეს განათლებაში კერძო დანახარჯებით გამოირჩევა აშშ (მშპ_ს 1.61%), ხოლო სახელმწიფო დანახარჯებით გამოირჩევა ნორვეგია 1.79%.

გრაფიკი 2.3: ბაკალავრ დამთავრებული ამერიკელის შემოსავლისა და დანახარჯების განაწილება.



საშუალოდ ბაკალავრდამთავრებული ამერიკელის წლიური შემოსავალი არის 81 629 აშშ დოლარი, გადასახადების და დაზოგვის შემდეგ მას დასახარჯად რჩება 63 373 აშშ დოლარი. აქედან განათლებაზე საშუალო ხარჯავს 1 835 აშშ დოლარს, ანუ განკარგავს შემოსავლის 3%-ს.

განათლების სფეროს პროგრამების დაფინანსების სტატისტიკური ასპექტები 2012 წლიდან 2020 წლამდე

დანახარჯების განაწილება განათლების სხვა და სხვა დონეზე ასახავს მთავრობის პრიორიტეტებს და განათლების ხედვებს შორის განსხვავებას. თითქმის ყველა ქვეყანაში განათლების საფეხურის ზრდასთან ერთად იზრდება მასზე გამოყოფილი თანხები. მაგრამ ეს სიდიდეები განსხვავდება ქვეყნებში. OECD-ს ქვეყნები ხარჯავენ დაახლოებით 18%-თ მეტს საშუალო განათლებაზე ვიდრე დაწყებით განათლებაზე. ეს პროცენტული მაჩვენებლები აღწევს 50%-ს კანადაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, საფრანგეთში და ნიდერლანდებში. ისეთი ქვეყნები როგორც არის ჩილე, კოლუმბია, ისლანდია, ირლანდია, ლიტვა და სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენია და გაერთიანებული სამეფო, დაწყებით განათლებაში ხარჯავენ უფრო მეტს ვიდრე საშუალო საფეხურის განათლებაში.

¹ <https://www.visualcapitalist.com>

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით განათლების სასურველი მოდელი უნდა გამომდინარეობდეს განათლების ეროვნული მიზნებიდან და უნდა იყოს დაფუძვნიებული შემდეგ პრინციპებზე

- უმაღლესი განათლებისა და კვლევის განვითარება სახელმწიფო დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებებში უნდა შედიოდეს.
- უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის თანაბრად, მიუხედავად მათი სასტატო პირობებისა.
- უმაღლესი საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებებს უნდა ჰქონდეთ მაღალი ავტონომია რაც განისაზღვრება მათი ფინანსების დამოუკიდებლად განკარგვით.¹

განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში განათლება წარმოადგენს პრიორიტეტულ დარგს და თანდათან იზრდება მათი დაფინანსებაც. მიუხედავად იმისა, რომ განათლების დაფინანსების დახასიათება არ შეიძლება განვიხილოთ კერძო დაფინანსების წყაროების გარეშე, მისი ხარჯების უდიდესი ნაწილი მაინც სახელმწიფო ბიუჯეტზე მოდის.

საქართველოში გატარებული სიღრმისეული რეფორმების მიუხედავად, რჩება გამოწვევები განათლების სერვისების ხარისხთან, ხელმისაწვდომობასთან, განათლების და შრომის ბაზრის კავშირთან, მეცნიერების განვითარებასთან.


საქართველოს მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ოთხ პუნქტიანი გეგმა „საქართველო 2020“ რომელის ერთ-ერთ მთავარ პუნქტს განათლების რეფორმა წარმოადგენს, უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის განვითარებას და მის ჩართულობას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. აღნიშნულ რეფორმაში და განათლების სტრატეგიაში გათვალისწინებულია განათლების პროგრამების შესაბამისობა შრომის ბაზრის მიმდინარე და მომავალ მოთხოვნებთან, ასევე განხილულია სკოლამდელი განათლების განვითარება, ყველა დონეზე განათლების ხარისხის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, პროფესიული განათლება რომელიც

¹ საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021

დასაქმებაზე იქნება ორიენტირებული, უმაღლესი განათლება, მეცნიერების ტექნოლოგიების და ინოვაციების კავშირი ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან. სწორედ ამ მიზნების რეალიზებისთვის შეიქმნა განათლების სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის. სტრატეგიაში აღწერილია როგორ უნდა განვითარდეს საქართველოს განათლების სისტემა, რათა იყოს საზოგადოების წინსვლა, დემოკრატიული მართველობის განვითარება, დასაქმების ზრდა, ადამიანების თვითრეალიზება და საქართველოს კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ფონზე.

განათლებასა და მეცნიერების დარგს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისთვის და სწორედ ამიტომ იგი უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი. სწორედ ხელმისაწვდომობის ხარისხის გაზრდის მიზნით ბოლო წლებში გატარდა რიგი რეფორმები, რომლიც განათლების და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის გაზრდასაც მოითხოვდა. დღეისათვის განათლების სფეროს სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა წინა წლებთან შედარებით.

გრაფიკი 2.4: განათლების დაფინანსება (ათასი ლარი)



განათლების დაფინანსება არის მუდმივად პროგრესული და 2020 წლისთვის მისი დაფინანსება 1 366 445 000 ლარი შეადგინა.


ცხრილი 3: განათლების პროგრამების დაფინანსების ზრდა მატება წელთან შედარებით

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020

პროგრამების დაფინანსება აბსოლუტური მატება (ათასი ლარი)	47626	44098	73919	98371	148710	20950	257569	49496
დაფინანსების მატების ტემპი წინა წელთან შედარებით (%)	7.6	6.5	10.3	12.4	16.7	2.0	24.3	3.8

ყველაზე დიდი მატება 2019 წელს აღინიშნება როდესაც 2015 წელთან შედარებით დაფინანსება 24.3%-ით გაიზარდა.

გრაფიკი 2.5: განათლების დაფინანსების წილი ბიუჯეტში და მშპ_ში



განათლების დაფინანსების წილი მშპ_ში 7.7%-დან 9.9%-მდე მერყეობს.¹ ხოლო ბიუჯეტში 2.3%-დან 2.6%-მდე.

ცხრილი 4: განათლების სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნების განაწილება საფეხურებისა და პროექტების მიხედვით (ათასი ლარი)

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
პოლიტიკის შემუშავება და მართვა	13597	12251	13403	16465	15970	21229	29630	35159	35415
სკოლამდელი და ზოგადი განათლება	379408	425122	433484	492397	575491	581688	677165	845460	910300
პროფესიული განათლება	15971	19793	37318	31620	35829	29580	40800	48690	52850
უმაღლესი განათლება	101323	93554	88455	94360	106613	128859	143840	168960	145015
მეცნიერებისა და კვლევების ხელშეწყობა	28592	35732	49707	60612	66549	61440	65600	65470	65540
ინფრასტრუქტურის განვითარება	86815	83548	91681	95895	89268	210500	97210	135500	136800

¹ <https://www.geostat.ge/ka>

განათლებაზე განკუთვნილი ბიუჯეტიდან ყველაზე მეტი 60-65% იხარჯება სკოლამდელ და ზოგად განათლებაზე. შემდეგი არის 10-15% ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. 8-15% უმაღლეს განათლებაზე. 5-8% მეცნიერები და კვლევების ხელშეწყობაზე და დაახლოებით 2% პროფესიულ განვითარებასა და პოლიტიკის შემუშავებაზე.

სკოლამდელი აღზრდის უზრუნველყოფისთვის 2015 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა კანონი „სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტები“. შეიქმნა აღმზრდელის გზამკვლევი აქტივობის კრებული, ჩატარდა ტრენინგები აღმზრდელისთვის. დაინერგა პროგრამების თბილისის 171 და რეგიონების 180 სკოლამდელ დაწესებულებაში. არსებული მონაცემებით სკოლამდელ საგანმანათლებლო სისტემაში ფუნქციონირებს 1 621 ბაგა-ბაღი რომელშიც სწავლობს 164 605 აღსაზრდელი, ხოლო აღმზრდელ პედაგოგების რაოდენობა 14 309 შეადგენს.¹

2016 წლიდან საქართველოს პარლამენტმა მიღო კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განთლების შესახებ“ რომელმაც ხელი შეუწყო ადრეული და სკოლამდელი განთლების უზრუნველყოფას.

სკოლამდელი აღზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საგანმანათლებლო რესურსების არსებობა. მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო პროგრამებისა და რეკომენდირებული აქტივობების განსაზღვრას, სასწავლო მასალის შექმნას. ეს პრობლემები განსაკუთრებით აქტუალურია ეროვნული უმცირესობებისთვის. განათლების სამინისტრომ შეიმუშავა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განთლების სახელმწიფო სტანდარტები. სამინისტრო ასევე უზრუნველყოფს მეთოდოლოგიურ მასალას. გზამკვლევებს და მოდულებს აღმზრდელისთვის და აღმზრდელ პედაგოგებისთვის, ასევე ხელი შეუწყო მშობლების ინფორმირებულობის გაზრდას. განათლების სამინისტრომ განახორციელა პერსონალის მომზადება/გადამზადების, სერთიფიცირების და ტრენინგის პროგრამები. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი აღმზრდელი პედაგოგებისთვის სამინისტრო უზრუნველყოფს ქართული ენის სწავლა-სწავლების პროექტს. სამინისტრო

¹ <https://www.geostat.ge/ka>

ასევე ახალისებს სკოლამდელი განათლების სექტორში ახალგაზრდა კადრების შემოსვლას.

მასწავლებლების კარიერული განვითარების, წინსვლის შესაძლებლობების და მოტივაციის შექმნისთვის 2015 წელს დამტკიცდა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“. მასწავლებლების შეფასება და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა დელეგირებული იქნა სკოლებზე. ამ გადაწყვეტილებით სკოლებმა მეტი ავტონომიურობა შეიძინეს. სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში ყოველწლიურად 25000 მდე მასწავლებელი მონაწილეობას იღებს ტრენინგებში ისეთი მიმართულებით როგორებიცაა ზოგადი პედაგოგიური უნარები, საგნობრივი მოდულები, ინტერაქტიული სწავლება, შეფასების და სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ინკლუზიური განათლება და სხვა.

მასწავლებლების სტიმულირების მიზნით შეიცვალა ანაზღაურების სქემა. მასწავლებლებს შრომის ანაზღაურება აქვთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: განთლება, სამუშაო გამოცდილება, სამუშაო სპეციფიკა, სამუშაო დატვირთვა. საბაზისო ხელფასი შემდეგი კოეფიციენტების მიხედვით იქნება გადამრავლებული: სრული ზოგადი განთლება 0.8, პროფესიული განათლება 0.9, ბაკალავრი ან მასთან გათანაბრებული სტატუსი 1, მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული სტატუსი 1.1, დოქტორანტი ან მასთან გათანაბრებული სტატუსი 1.2; სამუშაო განთლების კოეფიციენტები: 5 წლამდე 0.2, 5_დან 10 წლამდე 0.5, 10 წლის ზემოთ 0.6; სამუშაო სპეციფიკის კოეფიციენტები: კლასკომპლექტით სწავლება 0.1, არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენის, ისტორიის ან გეოგრაფიის სწავლება 0.1, კლასი დამრიგებელი 0.25, მოსწავლეებისთვის კარიერის დაგეგმვის კურსის წარმართვა 0.08; სამუშაო დატვირთვის კოეფიციენტი კი შეადგენს 0.15. საბაზისო ხელფასი მრავლდება ზემოთაღნიშნულ კოეფიციენტებზე და დგინდება პედაგოგების შრომის ანაზღაურება. საბაზისო შრომის ანაზღაურება 418 ლარს შეადგენს.¹

საქართველოში მძიმე სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით 2012 წლიდან დაინერგა სოციალური პროგრამები, რის შედეგადაც შემცირდა საოჯახო მეურნეობების

¹ <https://matsne.gov.ge/>

მიერ გაწეული დანახარჯები განათლებაზე. ამოქმედდა მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რამაც ხელი შეუწყო სკოლების გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას და მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართულობას. ასევე უფრო ხელმისაწვდომი გახდა სასწავლო რესურსები: სახელმძღვანელოები და სავარჯიშო რვეულების კომპლექტი უსასყიდლოდ გადაეცა ყველა საჯარო სკოლის 5000 000-ზე მეტ სოციალურად დაუცველ და ომში დაღუპული პირების ოჯახების მოსწავლეებს.

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების და მრავალმხრივი განვითარების მიზნით ყურადღება ექცევა ჯანსაღ ცხოვრებას. „თავისუფალი გაკვეთილების“ პროექტის ფარგლებში მოსწავლეები ჩართულები არიან სპორტულ, სახელოვნებო, წიგნიერების და ინტელექტუალურ საკუთრებაში. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იქნა ზაფხულის და ზამთრის ბანაკები სადაც საბაზო საფეხურის მოსწავლეებს შეუძლიათ აქტიური სწავლა დასვენება მათი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად.

ყოველწლიურად იზრდება ინკლუზიური განათლების ხარისხი და ასევე მასში ჩართული მოსწავლეების რიცხვი. მათ ემსახურებიან სპეციალური მასწავლებლები, ფსიქოლოგები ინკლუზიური განათლების კოორდინატორები, რომელთა კვალიფიკაცია კვლავ განვითარებას საჭიროებს. ამ რეფორმის მიუხედავად კვლავ რჩება პრობლემად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უზრუნველყოფა.

საქართველოში მასწავლებლების და მოსწავლეების თანაფარდობა არის მაღალი. მაშინ როცა ევროკავშირის ეს მაჩვენებელი 1/20 არის საქართველოსთვის 1/8 შეადგენს. ამის მიუხედავად მცირეკონტინგენტიანი სკოლები განიცდიან მასწავლებლების დეფიციტს. მასწავლებლების საშუალო ასაკი თვალსაჩინოს ხდის რომ საჭიროა ახალი კადრების მოძიება.¹


განათლების მიღებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მისი ინფრასტრუქტურა. განათლების მიღების გარემო უნდა იყოს კომფორტული და უსაფრთხო. სასწავლო პროცესს უზრუნველყოფს 3000-ზე მეტი სკოლა. სკოლების შენობების მოვლა-შენახვის, განახლების საკითხი წლების განმავლობაში ყურადღების მიღმა იყო. სწორედ ამიტომ

¹ საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2020

ისინი საჭიროებენ რეაბილიტაციას ან დემონტაჟს. 214 წლის შემდეგ აშენებულია 21 საჯარო სკოლა, რომელზეც დაიხარჯა 3 173 1055 ლ. მიმდინარე პროექტების ფარგლებში კიდევ შენდება 20 საჯარო სკოლა. დღეისათვის კიდევ არსებობს მცირეკონტიგენტის სკოლების ინფრასტრუქტურული პრობლემები.¹

2013 წელს საქართველოს მთავრობამ ევროკავშირის წარმომადგენლობასთან ერთად დაიწყო საბიუჯეტო პროექტების განხორციელება განთლების სისტემური რეფორმების მხარდასაჭერად. საქართველო აქტიურად ჩაერთო „ტურინის პროცესში, რომლის ფარგლებშიც დაინტერესებული მხარეების თანამშრომლობით გაანალიზდა პროფესიული განთლების პოლიტიკა და პრაქტიკა. ამ პროექტის ფარგლებში საქართველოს შესაძლებლობა აქვს საერთაშორისო პარტნიორებს გაუზიაროს განათლებაში მიღებული გამოცდილება და ასევე მიიღოს სხვა ქვეყნების გამოცდილება. საქართველოს ბიუჯეტის ფარგლებში განათლების სისტემაში სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაფინანსება არის მზარდი.

გრაფიკი 2.6: სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაფინანსება (ათასი ლარი)




ცხრილი 5: სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაფინანსების მატება წინა წლის პერიოდთან შედარებით

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაფინანსების აბსოლუტური მატება (ათასი ლარი)	45714	8362	58913	83094	6197	95477	168295	64840
მატების ტემპი წინა წელთან შედარებით	12.0	2.0	13.6	16.9	1.1	16.4	24.9	7.7

(%)								
-----	--	--	--	--	--	--	--	--

სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაფინანსების მატების ყველაზე დიდი სიდიდით 2019 წელს აღინიშნება, როდესაც განათლების ამ საფეხურზე დაფინანსების მატებამ 24.9% შედგინა


გრაფიკი 2.7: სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაფინანსების განაწილება პროექტების მიხედვით



სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაფინანსების დაახლოებით 85-88% მოდის ფოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებაზე.

სხვა ასიგნებიდან აღსანიშნავია მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა 22-32%, მოსწავლეების სახელმძღვანელოთი უზრუნველყოფა 5-30%, უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა 3 – 15%, და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა 15-48%.

გრაფიკი 2.8: სხვა ასიგნების განაწილება პროექტების მიხედვით



2013 წელს დამტკიცდა პროფესიული განათლების რეფორმა, რომელიც გულისხმობდა პროფესიული განათლების სისტემურად გარდაქმნას. პროფესიული განათლება შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო შრომის ბაზართან. ახალი პროგრამები შეადგინეს დამსაქმებლების ჩართულობით, შეიქმნა ინოვაციური სწავლება, სასწავლებლები აღჭურვეს თანამედროვე ლაბორატორიებით და შესაბამისი მექანიზმებით.

2013 წლიდან სახელმწიფო მთლიანად აფინანსებს პროფესიულ განათლებას. 2013 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმდა ხელშეკრულება რომელიც მიზნად ისახავდა სექტორულ მხარდაჭერას და დაფინანსებას. 2015 წლიდან გაძლიერდა მეწარმეობის სწავლება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. 2016 წლიდან დაიწყო დუალური სწავლების პრინციპები.

ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროფესიულ განათლებას. დაიწყო ახალი მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები და საგანმანათლებლო დაწესებულებები აღიჭურვა შესაბამისი ტექნიკით. დამსაქმებლების აქტიური თანამონაწილეობით შეიქმნა სამუშაოზე დაფუძნებული განათლების სისტემა. გაძლიერდა სამეწარმეო განათლების კომპონენტი, რომელიც მოსწავლეებისთვის სავალდებულო კომპონენტი გახდა. თუმცა კვლავ გამოწვევად დარჩა სტუდენტთა

სამეწარმეო იდეების მხარდამჭერი მექანიზმი. დაინერგა დუალური განათლების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების შემდგომ დასაქმებას.

პროფესიული განათლებაში დასაქმებული მასწავლებლების საათობრივი ანაზღაურება გაიზარდა 3.75 ლარიდან 8 ლარამდე¹. თუმცა ეს პროფესია კვლავ რჩება ნაკლებად პრესტიჟულად, სწორედ ამიტომ განთლების სამინისტრო მიმართავს მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების ახალ მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს სისტემაში ახალი კადრების შემოდინებას და არსებული კადრების განვითარებას.

გაუმჯობესდა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა, რასაც ცხადყოფს ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა.


2013 წლიდან სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებელში სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. დაარსდა და განახლდა კოლეჯები და მათი ინფრასტრუქტურა. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ეძლევათ მშობლიურ ენაზე ჩააბარონ პროფესიული ტესტირება. დაიწყო მოკლევადიანი კურსების განხორციელება სამუშაოს მაძიებლებისათვის და ასევე ყოფილი პატიმრებისთვის.

საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში 2015 წლიდან დაფუძვნდა ოთხი პროფესიული სასწავლებელი: თბილისის სარკინიგზო კოლეჯი - სს“ საქართველოს რკინიგზასთან“ პარტნიორობით; გუდაურის სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა; საქართველოს ტექნოლოგიური გადამზადების ცენტრი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში; სამშენებლო მიმართულების კოლეჯი „კონსტრუქტს 2“ ზესტაფონში - სამშენებლო კომპანია M2 თანამშრომლობით.

რეფორმების და განხორციელებული პროექტების მიუხედავად კვლავ არსებობს ფინანსური რესურსების ნაკლებობის პრობლემა, რომელიც გამოწვეულია ადგილობრივი ეკონომიკური მდგომარებით. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზით, კერძო სექტორის ჩართულობით და დონორების მოძებნით.

გრაფიკი 2.9: პროფესიული განათლების დაფინანსება (ათაში ლარი)

¹ <https://www.mes.gov.ge/>



ცხრილი 6: პროფესიული განათლების დაფინანსების მატება წინა წელთან შედარებით

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
პროფესიული განათლების დაფინანსების აბსოლუტური მატება (ათასი ლარი)	3822	17525	-5698	4209	-6249	11220	7890	4160
მატების ტემპი წინა წელთან შედარებით (%)	23.9	88.5	-15.3	13.3	-17.4	37.9	19.3	8.5

პროფესიული განათლების დაფინანსების აბსოლუტური მატებით 2014 წელი გამოირჩევა როდესაც ამ სიდიდემ 88.5 % შეადგინა. 2015, 2017 წლებში კი ამ პროგრამებზე დაფინანსების კლება მოხდა.

ცხრილი 7: პროფესიული განათლებისთვის გამოყოფილი ასიგნიების პროცენტული განაწილება პროექტების მიხედვით

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
განვითარების ხელშეწყობა	7943	11194	28650	22500	23550	27200	38315	46300	50000
მსჯავრდებული და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობა	0	0	0	0	0	200	185	185	150
ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება	684	688	688	1643	2398	2180	2300	2205	2700
განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	7343	7911	7980	7477	9881	0	0	0	0

პროფესიული განათლების დაფინანსების დიდი ნაწილი მოდის პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობაზე 50-95% და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაზე 22-55%.

უმაღლესი განთლების სისტემა უნდა პასუხობდეს თანამედროვე გამოწვევებს და შესაბამისობაში უნდა იყოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ბოლო წლების განმავლობაში შეიცვალა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, ამოქმედდა ბაკალავრიატის პრიორიტეტული მიმართულების სისტემა, შეიცვალა უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის მექანიზმი და პროცედურები, ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად შედგა საერთო პროექტები. თუმცა აღნიშნული რეფორმები არ არის საკმარისი რომ განათლების სისტემამ უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს, საჭიროა ასევე საკანონმდებლო ბაზის გადამუშავება.

დღეისათვის საქართველოში ფუნქციონირებს 19 სახელმწიფო და 43 კერძო ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც 92 964 სტუნდენტი სწავლობს და დასაქმებულია 13000-მდე აკადემური პერსონალი¹. მოქმედი პერსონალის საშუალო ასაკი თვალსაჩინოს ხდის რომ საჭიროა ახალი კადრების მოზიდვა.

უმაღლესი განთლების დახასიათებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია: როგორია მისი დაფინანსება და ამ დაფინანსების რა ნაწილი იფარება სახელმწიფოს მიერ. ამ ნაწილში უნდა განვიხილოთ შემდეგი პარამეტრები:

- განათლებასა და კვლევაზე გამოყოფილი მთლიანი სახელმწიფო დაფინანსება
- კვლევის დაფინანსების მოცულობა
- განათლებაზე სახელმწიფო და კერძო დანახარჯების შედარება

უკანასკნელ წლებში განათლებაში ჩართულობის პარალელურად გაიზარდა განთლების დაფინანსებაც.

მიუხედავად იმისა რომ უმაღლესი განთლების დაფინანსებაში უმეტესი ნაწილი სახელმწიფო დაფინანსებიდან მოდის მისი განხილვა შეუძლებელია კერძო

¹ <https://www.geostat.ge>

დანახარჯების გარეშე. სამუალოდ ევროკავშირში უმაღლესი განათლების დაფინანსების 79.9% მოდის სახელმწიფოზე. სკანდინავიის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 90%-მდე აღის. ყოფილს კომუნისტურ ქვეყნებში კი სახელმწიფოზე მოდის დაფინანსების 70%-ზე ნაკლები.¹ ეს მაჩვენებლები არის კლებადი, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში სადაც სწავლის გადასახადი არის მაღალი და სტუდენტებს უწევთ თვითდაფინანსება.

კერძო დანახარჯებიდან შეიძლება გამოვყოთ შინამეურნეობის და სხვა კერძო წყაროების მხრიდან დაფინანსება.

ცხრილი 8. უმაღლესი განათლების დაფინანსების პროცენტული განაწილება წყაროების მიხედვით 2010 წ.

	საჯარო დაფინანსება	შინამეურნეობების დანახარჯი	სხვა კერძო დანახარჯი
ჩილე	22.1	70.1	7.8
ჩეხეთი	78.8	9.4	11.8
ესტონეთი	75.4	17.9	6.7
ფინეთი	95.9	1	3.1
კორეა	27.3	47.1	25.6
ნიდერლანდები	71.8	14.7	13.5
პოლონეთი	70.6	22.5	6.9
პორტუგალია	69	23.4	7.6
სლოვაკეთი	70.2	11.8	18
სლოვენია	84.7	10.6	4.7
ესპანეთი	78.2	17.6	4.2
შვედეთი	90.6	0	9.4
გაერთიანებული სამეფო	25.2	56.1	18.7
შეერთებული შტატები	36.3	47.8	15.9
რუსეთი	62.2	28.2	9.6

წყარო: OECD, 2009; სალმი და ანდლულაძე, 2012

საქართველოში შინამეურნეობების მიერ განათლებაზე გაღებული ხარჯები საკმაოდ მაღალია. საქართველოში უმაღლესი სასწავლებლების სწავლის მთლიან საფასურს სტუდენტების 64% იხდის, აქედან 49% სახელმწიფოს უმაღლესი სასწავლებლებიდან, 15% კი კერძო უმაღლესი სასწავლებლიდან. გასათვალისწინებელია

¹ უმაღლესი განათლების და კვლევის დაფინანსება და ფინანსური მართვა - ლელა ჩახაია 2013 წ.

ასევე ისიც, რომ ნაწილობრივ დაფინანსებას იღებს სტუდენტების 25%¹. ამ მაჩვენებლებით საქართველოს პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შორის მაღალი მაჩვენებელი უჭირავს სწავლის საფასურის გადამხდელი სტუდენტების რაოდენობით.²

2004 წელს შეიცვალა უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების სიტემა. თუ მანამდე ხდებოდა უნივერსიტეტების პირდაპირი წესით დაფინანსება 2004 წლის შემდეგ გამოიყენებოდა სტუდენტებზე მიბმული დაფინანსების სისტემა. ამ რეფორმის მიზანი იყო არსებული კორუფციული სიტუაციის აღმოფხვრა. ახალი სისტემის მიხედვით სახელმწიფო დაფინანსება გაიცემოდა არა სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით არამედ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წარმატებულ სტუდენტთა რაოდენობის მიხედვით. დანარჩენ სტუდენტებს კი უწევთ სწავლის საფასურის მთლიანად თავიანთი სახსრებით გადახდა.

2004-2005 წლის რეფორმების შედეგად მოხდა დაფინანსების სისტემაში კერძო სასწავლებლების ჩართვაც. სახელმწიფო გრანტს იღებდნენ ის სტუდენტებიც, რომლებმაც კერძო სასწავლებელში ჩააბარეს.

საქართველოს მთავრობა დიდი მნიშვნელობას ანიჭებს განათლების ინტერნაციონალიზაციას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს განათლების ხარისხის ზრდას. განათლების ინტერნაციონალურობის ხელშესაწყობად ქართულმა უნივერსიტეტებმა დაიწყეს საერთაშორისო თანამშრომლობა ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებთან. საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითი არის სან დიეგოს უნივერსიტეტის და სამი ქართული უნივერსიტეტის თანამშრომლობა. ერთობლივი პროექტის ფარგლებში დაიწყო უცხოენოვანი საბუნებისმეტყველო, საინჟინრო და მათემატიკური მიმართულების 8 საბაკალავრო პროგრამა. მისი მეშვეობით პირველად საქართველოში გაიცემა როგორც ქართული ისე ამერიკული უნივერსიტეტის დიპლომი.

ამ ეტაპისთვის მიმდინარე პროცესში არის ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროექტი. მიმდინარეობს კამპუსის მშენებლობა და კურიკულუმის შემუშავება მიუნხენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. ფრანგი პარტნიორების ჩართულობით და დახმარებით მოხდება ორმაგი ხარისხის

¹ <https://www.mes.gov.ge/>

² უმაღლესი განათლების და კვლევის დაფინანსება და ფინანსური მართვა - ლელა ჩახაია 2013 წ.

მიმნიჭებული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება. ამ უნივერსიტეტის მეშვეობით იგეგმება საქართველოს რეგიონული განათლების ცენტრად წარმოჩენა.

საქართველო აქტიურადაა ჩართული ERASMUS+ პროექტის ფარგლებში, სადაც მონაწილეობს იღებს 131 პარტნიორი ქვეყანა და წარმატებული პროექტების კუთხით საქართველო 6 ადგილს იკავებს. 2015 წლიდან 5000-მდე სტუდენტის სწავლება დაფინანსდა.¹

ცხრილი 9: ERASMUS+ მიერ დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა

წლები	დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა
2015	695
2016	989
2017	818
2018	1109
2019	1104

2


საქართველოს განათლების რეფორმების გატარებისას აუცილებელია აღვნიშნოთ ამერიკის შეერთებული შტატების ათასწლეულების გამოწვევის ფონდი. ამ პროექტის ფარგლებში გამოყოფილი იყო 140 მლნ. აშშ დოლარი, როლიც მოხმარდა ტექნიკურ დახმარებას და რეგიონებში ასამდე საჯარო სკოლის სრულ რეაბილიტაციას. პროექტის ფარგლებში დაიწყო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სწავლება.

2014 წლიდან, სსიპ განათლების საერთაშორის ცენტრის მიერ დაფინანსდა 500 მდე ქართველი სტუდენტის სწავლება საზღვარგარეთ. მისი ბიუჯეტიც არის მზარდი.

გრაფიკი 2.10: განათლების საერთაშორის ცენტრის ბიუჯეტი

¹ <http://erasmusplus.org.ge>

² <https://erasmusplus.org.ge>



2013 წლიდან სახელმწიფოს მხრიდან სრულად ფინანსდება შემდეგი მიმართულებები: ზუსტი და საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული, სოციალური, აგრარული, საინჟინრო მეცნიერება. ეროვნული უმცირესობებისთვის გამართვდა მიღება და დაფინანსება საგანმანათლებლო პროგრამებზე. ამ დროიდან უმაღლესი სასწავლებლებისთვის 60 მლნ. ლარი გამოიყო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის.


არსებულმა დაფინანსების სისტემამ პოზიტიური როლი ითამაშა საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესებაში და ეფექტიანი ხარჯვის ნაწილში, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს სწავლებისა და კვლევების ხარისხის ამაღლების წინაპირობას. უმაღლესი განთლების რეალური ხარჯი მეტია, ვიდრე სახელმწიფო ხარჯავს. უმაღლესი განთლების ყველა პროგრამის დაფინანსება არის თანაბარი მიუხედავად იმისა რომ მათი დანახარჯები არის განსხვავებული. სახელმწიფო უნივერსიტეტებისთვის არის დაწესებული გადასახადის ზედა ზღვარი. არსებული ვაუჩერული დაფინანსება, რომელიც უნივერსიტეტებში შემოსავლის წყაროა, აყალიბებს მართვის არაჯანსაღ სისტემას. სრულად ვერ უზრუნველყოფს სწავლების ხელმისაწვდომობას, კვლევებში ხარისხის გაუმჯობესებას და სტიმულირებას. არსებულ ვითარებას ვერ ცვლის ვერც საგანმანათლებლო პროგრამების არსებული პრიორიტეტული დაფინანსება. მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს განათლების

¹ <http://iec.gov.ge/>

სისტემაში ახალი თაობის მოზიდვა და საგანმანათლებლო რესურსებზე, როგორცაა ბიბლიოთეკები, ლაბორატორიები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, მეტი ხელმისაწვდომობა.


აჭარის მთავრობა ასევე ცდილობს აჭარელ ახალგაზრდებს ხელი შეუწყოს უმაღლესი განათლების მიღებაში და წარმატებულ სტუდენტებს აფინანსებს და უხდის სწავლის საფასურს, ამისთვის აჭარის ავტონომიური ოლქი ყოფს თანხებს

გრაფიკი 2.11: აჭარის ავტონომიური ოლქის მიერ გამოყოფილი თანხები სტუდენტების დასახმარებლად (ლარი)



აჭარის ავტონომიური ოლქის მიერ გამოყოფილ თანხებს აქვს მზარდი ხასიათი და 2012 წლიდან მოყოლებული ზრდის ტრენდი აქვს. ყველზე დიდი მატება აღინიშნება 2013 წელს 414837

გრაფიკი 2.12 : უმაღლესი განათლების დაფინანსება (ათასი ლარი)



უმაღლესი განათლების დაფინანსებას 2014 წლიდან მოყოლებული ქონდა ზრდის ტრენდი. უმაღლეს განათლებაზე დანახარჯების შემცირება იგეგმება 2020 წელს გრანტებისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ხელშეწყობის პროგრამის შემცირებით.

ცხრილი 10: უმაღლესი განათლების დაფინანსების ზრდა წინა წელთან შედარებით

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020


¹ <http://adjara.gov.ge>

უმაღლესი განათლების დაფინანსების აბსოლუტური მატება (ათასი ლარი)	-7769	-5099	5905	12253	22246	14981	25120	-23945
მატების ტემპი წინა წელთან შედარებით (%)	-7.7	-5.5	6.7	13.0	20.9	11.6	17.5	-14.2

უმაღლესი განათლების დაფინანსების მატებით გამოირჩევა 2017 წელი როდესაც მათებამ წინა წელთან შედარებით 20.9% შეადგინა. განათლების ამ საფეხურზე დაფინანსების შემცირება აღინიშნებოდა 2013, 2014, 2020 წლებში.

უმაღლესი განათლების ხარჯების დიდი ნაწილი მოდის სასწავლო და სამაგისტრო გრანტებსა და ახალგაზრდების ხელშეწყობაზე 65-88%; და გამოცდების ორგანიზებაზე 10-12%.

გრაფიკი 2.13: უმაღლეს განათლებაზე გამოყოფილი ასიგნების პროცენტული განაწილება პროექტების მიხედვით



უმაღლესი განათლების ხარჯების დიდი ნაწილი მოდის სასწავლო და სამაგისტრო გრანტებსა და ახალგაზრდების ხელშეწყობაზე 65-88%; და გამოცდების ორგანიზებაზე 10-12%.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სერიოზული პრობლემები შეექმნა მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების მხრივ, რადგან ის სისტემა რაც მანამდე მუშაობდა ჩამოიშალა და გამოუყენებელი გახდა. 1993 წელს საქართველოს

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის გაფორმდა ხელშეკრულება რომელიც გულისხმობდა სპეციალური ფონდების მეშვეობით განხორციელებულიყო ასობით სამეცნიერო პროგრამა და კვლევითი პროექტი. ამ პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანია ისეთი ინსტიტუტების აქტივობები როგორებიცაა: საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი, უკრაინაში მეცნიერების და ტექნოლოგიების ცენტრი, სამოქალაქო კვლევისა და განვითარების ფონდი, ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების პროგრამები და სხვა. ამ პროექტების მეშვეობით მოხდა სამეცნიერო პოტენციალის შენარჩუნება და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეებთან ინტეგრაციის ინიცირება.

საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სექტორში 2010-2011 წლების განმავლობაში განხორციელებული რეფორმების შედეგად 70-მდე სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები გაერთიანდნენ 5 უნივერსიტეტის ბაზაზე. ეს უნივერსიტეტებია: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრარული უნივერსიტეტი და სამედიცინო უნივერსიტეტი. 3 ცენტრი - სსიპ. კ. კველიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სსიპ ივ. ბერიტაშვილის სახლობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი და გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის უნივერსიტეტები კი ცალკე ცენტრებად არსებობს.


კვლევების ხელშეწყობის მიზნით 2010 წელს დაარსდა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, რომელიც კონკურსის საფუძველზე გასცემს გრანტებს მეცნიერების ყველა დარგში. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი წარმოადგენს საქართველოს განთლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ-ს, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების სისტემის განვითარებას. მისი მისია არის მომდევნო ათწლეულის განმავლობაში ხელი შეუწყოს საქართველოს დამკვიდრებას მსოფლიო მეცნიერების, ტექნოლოგიების სისტემაში და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის სწრაფ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. ფონდი ახორციელებს სახელმწიფო საგრანტო კონკურსებს, მიზნობრივ

პროგრამებს და პროექტებს, ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებსა და ეროვნულ ინიციატივებში. ფონდი აფინანსებს საერთაშორისო სამეცნიერო პოტენციალის მქონე და ინოვაციურ ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევით პროექტებს ყველა მიმართულებით. ფონდი ხელს უწყობს უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა კვლევით პროექტში მონაწილეობას და რეპატრიაციას ასევე სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარებას და განახლებას.

2014 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაიდო ასოცირების ხელშეკრულება. ხელშეკრულების ცალკე თავებში გათვალისწინებული იყო განათლების სფეროში ტექნოლოგიების განვითარება. მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება ასევე ევროკავშირის მიერ კვლევისა და ინოვაციების პროგრამის „ჰორიზონტი 2020“ ის 77 მილიარდიანი დაფინანსება რომლის წევრიც საქართველო 2016 წლიდან გახდა. ამ პროექტის ფარგლებში დაფინანსდა 17 პროექტი 5.2 მლნ. ლარზე მეტი ჯამური ღირებულებით. ამასთან საქართველოს უბრუნდება გადახდილი საწევროს ნახევარი, რომელიც ხელს შეუწყობს მეცნიერების შემდგომ განვითარებას.

მიუხედავთ იმისა, რომ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი თანამშრომლობს ELSEVIER-თან (წვდომა ელექტრონულ ჟურნალებსა და მონაცემებზე 21 საჯარო დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტისა და კვლევით უნივერსიტეტისგან შემდგარი კონსორციუმისთვის) და იხდის წლიურ საწევრო გადასახადს ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციისა და დუბლინის ბირთვული კვლევების გაერთიანებული უნივერსიტეტისთვის, კვლევით დარგის განვითარების პრობლემას წარმოადგენს ქართველ ახალგაზრდებს ნაკლები წვდომა სამეცნიერო-კვლევით ინფრასტრუქტურაზე.

გრაფიკი 2.14: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ბიუჯეტი (ლარი)



1

2014 წელს დაარსდა საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, როემელიც პროექტების მიხედვით საშუალებას იძლევა მოხდეს ახალი ტექნოლოგიების კვლევა და კომერციალიზაცია, ასევე ინფრასტრუქტურის განვითარება ისეთების როგორცაა: ტექნოლოგიური პარკები, ბიზნეს ინკუბატორები, Fablabs, Broadband, და სხვა. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მისიაა საქართველოში ჩამოყალიბდეს ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარებისთვის ყველა საჭირო პირობა, ცოდნისა და ინოვაციების კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება ეკონომიკის ყველა დარგში, ინოვაციების და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ექსპორტის ზრდისთვის საჭირო გარემოს შექმნა და ქვეყნის მასშტაბით მაღალ სიჩაქრიანი ინტერნეტის განვითარება.²

აღნიშნული მიზნების მისაღწევად სააგენტო გეგმავს მოახდინოს საკუთარი ინფრასტრუქტურული მასშტაბირება ინოვაციების და ტექნოლოგიების განსავითარებლად, უზრუნველყოს მძლავრი ინოვაციების კომერციალიზაციის მექანიზმების ფორმირება ქვეყნის ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების პრიორიტეტების მიხედვით. ხელი შეუწყოს სარისკო კაპიტალის წილის, ასევე კერძო კომპანიების თანამონაწილეობის ზრდას გამოყენებით კვლევებში და ინოვაციების

¹ <https://rustaveli.org.ge>

² <https://gita.gov.ge>

კომერციალიზაციის პროცესში, ჩამოაყალიბოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის საჭირო ეფექტური მექანიზმები მათ შორის დისტანციური სწავლების ინსტრუმენტების აქტიური გამდიდრების გზით.


ცხრილი 11: საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს დაფინანსება (ლარი)

დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა		
	2018	2019	2020
საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარება	5,020,000	4,820,000	3,680,000
საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (IBRD)	10,000,000	10,000,000	10,000,000

წყარო: საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

საქართველო გლობალური ინოვაციების ინდექსის მიხედვით 48-ე ადგილს იკავებს 127 შეფასებული ქვეყნიდან. მაშინ როდესაც 2013 წლის მონაცემებით 73-ე ადგილზე იყო 142 ქვეყანას შორის.¹

გრაფიკი 2.16: მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობაზე გამოყოფილი ასიგნები (ათასი ლარი)



ცხრილი 12: მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობაზე გამოყოფილი ასიგნების ზრდა წინა წელთან შედარებით


	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020

¹ <https://www.globalinnovationindex.org>

მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების დაფინანსების აბსოლუტური მატება (ათაში ლარი)	7140	13975	10905	5937	-5109	4160	-130	70
მატების ტემპი წინა წლის პერიოდთან შედარებით (%)	25.0	39.1	21.9	9.8	-7.7	6.8	-0.2	0.1

მეცნიერების და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობაზე გამოყოფილი ასიგნების მატების ტემპით გამოირჩევა 2014 წელი როდესაც დაფინანსება 39.1%-ით გაიზარდა წინა ელტან შედარებით. ბოლო 2 წლის განმავლობაში განათლების ამ საფეხურზე დაფინანსების სიდიდის ცვლილება უმნიშვნელოდ ხდება

გრაფიკი 2.15: მეცნიერების და სამეცნიერო კვლევების ასიგნების პროცენტული განაწილება პროექტების მიხედვით



მეცნიერების და სამეცნიერო კვლევების ხარჯების დიდი ნაწილი მოდის სამეცნიერო გრანტების გაცემაზე 48-98%, 2016 წლიდან მოიმატა სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამამ რომელმაც დანახაჯებში 42% მიაღწია 2019 წლისთვის.

დღეისათვის საქართველოში კვლევებისა და განვითარების სექტორი განიცდის დაფინანსების სიმწირეს, მათ შორის კერძო სექტორიდან. მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების სისტემის დაფინანსების მაჩვენებელი საგრძნობლად ჩამორჩება ევროკავშირის ანალოგიურ მონაცემებს, შესაბამისად საჭიროა კერძო სექტორის

კვლევებში ჩართვის სტიმულირება სხვადასხვა ღონისძიებების და რეგულაციების მეშვეობით. ასევე საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს კვლევებისა და ინოვაციების კომერციალიზაციას. ამ მიზნებისთვის 2016 წელს ხელშეკრულება გაფორმდა მსოფლიო ბანკსა და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს შორის და პროგრამებისთვის 40 მლნ. ამერიკული დოლარი გამოიყო.

რეფორმების გატარებამდე სახელწიფო კვლევითი დაფინანსება გადაეცემოდა პირდაპირ კვლევით ორგანიზაციებს. ამ ეტაპზე კი ამ გრანტების მოპოვება ხდება კონკურსის საფუძველზე.

უნივერსიტეტების მწირი დაფინანსების გამო საუნივერსიტეტო კვლევების ჩატარების ერთადერთი გზა არის კვლევითი გრანტის მოპოვება რომელსაც ახორციელებს განათლების და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სამეცნიერო ფონდი. დაფინანსების გაცემას, რომლებიც ექსკლუზიურად აქვს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, უარყოფითი მხარე აქვს, უმაღლეს სასწავლებლების და კვლევით დაწესებულებებს გარანტიების მოსაპოვებლად უწევთ საკუთარი კვლევითი ინტერესების ადაპტირება.

დასკვნა

ქვეყნების ქვაკუთხედს ეკონომიკური კეთილდღეობასა და განვითარებაში წარმოადგენს განათლების სფერო. იმ ქვეყნებში სადაც რესურსები მთლიანად არის გამოყენებული განვითარება დამოკიდებულია ინოვაციებზე და ახალ ტექნოლოგიებზე - შესაბამისად განათლებაზეც. ამიტომაც რომ განათლების სექტორი მუდამ განხილვის ობიექტია. განათლებაზე მსჯელობისას აუცილებელია აღვნიშნოთ რომ იგი ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მიუხედავად ბავშვების სასტარტო პირობებისა. ეს მიზეზი განსაზღვრავს იმას რომ სახელმწიფო აქტიურადაა ჩართული ამ პროცესებში. დღეისთვის იგი ისევ რჩება განათლების დაფინანსების მთავარ წყაროდ.

ქვეყნების განათლების სისტემები განსხვავდებიან მათი მოდელირების მიხედვით. ზოგიერთი ქვეყანა სასწავლო დაწესებულებებს აძლევს ავტონმიას, თვითონ განკარგონ სახსრები. ზოგიერთ ქვეყანაში კი მთავრობა პირდაპირ უწესებს უნივერსიტეტებს თუ რაში უნდა დაიხარჯოს მათვის გადაცემული თანხა. იმისთვის რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს განათლების ხელმისაწვდომობა გამოყოფს გრანტებს, სტიპენდიებს, სესხებს, ხარჯავს თანხებს ისეთ საქონელზე რომელიც პირდაპირ არაა დაკავშირებული განათლებაზე მაგ: ტრანსპორტირება, კვება, საცხოვრებელი და სხვა. აღნიშნული ხარჯები შეიძლება განაწილდეს ორი მეთოდის: სოციალური საჭიროებისა და აკადემიური მოსწრების მიხედვით.

ქვეყნები განსხვავდებიან მათი რესურსების მიხედვით. იმისთვის რომ დავახასიათოთ მათ მიერ განათლების სექტორის დაფინანსება უნდა გავიხილოთ დანახარჯი ერთი ადამიანზე. დანახარჯები ერთი სტუდენტის განათლებაზე დამოკიდებულია მასწავლებლის ანაზღაურებაზე, საპენსიო სისტემაზე, განათლების საათებზე, მასალებსა და აღჭურვილობაზე, პროგრამაზე, სტუდენტებისა და მოსწავლეების რაოდენობაზე, კლასის ზომასა და შემადგენლობაზე.

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის წვერი ქვეყნები დანახარჯების 60% ხარჯავენ უმაღლეს განათლებაზე. ეს დანახარჯები კიდევ შეიძლება დავყოთ კიდევ პირდაპირ და არაპირდაპირ დაფინანსების სახეებად. პირდაპირ დაფინანსებაში შედის ხარჯები რომლებიც გაწეული სკოლების მოვლაზე, ადმინისტრაციაზე, აღჭურვილობაზე, წიგნებზე. არაპირდაპირ ხარჯებს ეკუთვნის

ტრანსპორტირებაზე, კვებაზე და საცხოვრებელზე გაწეული ხარჯები. OECD ქვეყნებში ზოგადი განთლების საფეხურზე პირდაპირი ხარჯები წარმოადგენს მთლიანი დანახარჯების 92%. უმაღლესი განთლების საფეხურზე კი დანახარჯები შემდეგნაირად ნაწილდება: პირდაპირი დანახარჯები - 65%, არაპირდაპირი 5%, კვლევისა და განვითარებაზე გაწეული ხარჯი - 30%.

განათლებაზე გაწეული დანახარჯების დროს აუცილებელია დავახასიათოთ დაფინანსება მათი წყაროების მიხედვით. OECD-ს ქვეყნებში სახელმწიფო დაფინანსება ზოგად განათლებაზე შეადგენს მშპ-ს 3.6% და კერძო დანახარჯი მშპ-ს 0.4%-ს. ხოლო უმაღლესი განათლების საფეხურზე აღნიშნული სიდიდეები 0.96% და 0.5%-ს შეადგენს.

საქართველოში განათლების დონე კვლავ რჩება განხილვის ერთ-ერთ მთავარ ობიექტად. ხელისუფლების მიერ დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება. განათლების დაფინანსების წილი მშპ-ში 7.7%-დან 9.9%-მდე მერყეობს. ხოლო ბიუჯეტში 2.3%-დან 2.6%-მდე. მათი გადანაწილება საფეხურებისა და პროექტების მიხედვით შემდეგნაირად არის გადანაწილებული: ყველაზე მეტი 60-65% იხარჯება სკოლამდელ და ზოგად განათლებაზე. შემდეგი არის 10-15% ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, 8-15% უმაღლეს განათლებაზე, 5-8% მეცნიერები და კვლევების ხელშეწყობაზე და დაახლოებით 2% პროფესიულ განვითარებასა და პოლიტიკის შემუშავებაზე.

სკოლამდელი განთლება სწავლის სხვა საფეხურებთან შედარებით ნაკლებად განვითარებული იყო წლების განმავლობაში, იგი ვერ პასუხობდა მოთხოვნებს. ბოლო წლების განმავლობაში კი სიტუაციის გამოსასწორებლად მისი ბიუჯეტი და შესაბამისად ინფრასტრუქტურაც უმჯობესდება. ზოგადი განათლების დაბალი დონის გამო სწავლების ეს დონე მუდამ განხილვის ობიექტია. საქართველოში მძიმე სოციალური პირობების გამო, სახელმწიფოს უწევს გაილოს ხარჯების დიდი ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდასთან. ბოლო წლებში აღსანიშნავია ასევე მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროექტი, რომლებზეც სულ უფრო მეტი თანხა იხარჯება. სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაფინანსების დაახლოებით 85-88% მოდის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსებაზე. დანარჩენი ხარჯები რომ ჩავშალოთ შემდეგი სურათი იქნება: სხვა ასიგნებიდან აღსანიშნავია მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა 22-32%, მოსწავლეების სახელმძღვანელოთი უზრუნველყოფა 5-30%, უსაფრთხო

საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა 3 – 15%, და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა 15-48%.

პროფესიული განათლების ჩამოყალიბება საქართველოს მთავრობას თითქმის ნულიდან მოუწია. ამ პროექტის ფარგლებში ჩართულნი არიან სხვადასხვა სახელმწიფოები და ორგანიზაციები. სწორედ მათი და ბიუჯეტის დაფინანსების მეშვეობით პროფესიული განათლების დონე თანდათან ვითარდება. მისი დანახარჯების სტრუქტურაშიც ჩანს რომ ეს სექტორი განვითარების პროცესშია. პროფესიული განათლების დაფინანსების დიდი ნაწილი მოდის პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობაზე 50-95% და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაზე 22-55%.

უმაღლესი განათლების საფეხურის განათლება აყალიბებს ადამიანებს, რომლებსაც შემდეგ შეუძლიათ ინოვაციური პროექტების შესრულება და რეალურ ძალას წარმოადგენს ქვეყნის წინსვლაში. ამიტომ მას გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მისი დაფინანსებაც ყოველწლიურად იზრდება. უმაღლეს განათლების საფეხურზე არსებობენ ასევე სსიპ_ები რომლებიც ხელს უწყობენ ახალგაზრდების საზღვარგარეთ სწავლას, ზოგიერთი მათგანი სახელმწიფოსგან ფინანსდება, ზოგიერთი კი ევროპული ფონდებიდან. უმაღლესი განათლების საფეხური საქართველოში გამოირჩევა იმით, რომ აქ კერძო დანახარჯები ბევრად მეტია ვიდრე სხვა კერძო საფეხურზე. მასზე გაწეული დანახარჯების სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება: დიდი ნაწილი მოდის სასწავლო და სამაგისტრო გრანტებსა და ახალგაზრდების ხელშეწყობაზე 65-88%; და გამოცდების ორგანიზებაზე 10-12%.

მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების განვითარებას სახელმწიფო ცდილობს სხვადასხვა საუნივერსიტეტო ლაბორატორიების და სსიპ-ების მეშვეობით: შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი - რომელიც გასცემს გრანტებს, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო - რომელიც სხვადასხვა პროექტებით ცდილობს ინოვაციების წახალისებას და დანერგვას. სახელმწიფოს ბიუჯეტიდან მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების პროექტების დაფინანსებაზე გამოყოფილი ასიგნების პროცენტული გადანაწილება შემდეგნაირია: მეცნიერების და სამეცნიერო კვლევების ხარჯების დიდი ნაწილი

მოდის სამეცნიერო გრანტების გაცემაზე 48-98%, და კვლევების ხელშეწყობის პროგრამა, რომელმაც დანახაჯებში 42% მიაღწია 2019 წლისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ს. გელაშვილი, ზ. შონია, რ. ქინქლაძე. სოციალური სტატისტიკა. თბ., 2013
2. ჩარეჟიშვილი ლ. მეცნიერების და განათლების ეკონომიკის საკითხები თანამედროვე საქართველოში. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, 2013 წ. 17 მაისი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაცია და მეცნიერების აქტუალური პრობლემები 21 საუკუნეში“ გვ. 131-135.
3. ჩარეჟიშვილი ლ. უმაღლესი განათლების სისტემის ანალიზი საქართველოში. თსუ „ეკონომიკისა და ბიზნესის“ 2013 წ. №3. გვ. 123-142
4. ლ. ჩახაია, უმაღლესი განათლების და კვლევის დაფინანსება და ფინანსური მართვა 2013 წ.
5. ი. გურგენაშვილი, საქართველოს განათლების სისტემა, 2018წ.
6. განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021, საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
7. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
8. პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის, PEM GmbH, გერმანია
9. Education at a Glance 2019”, OECD 10. The Investment Case For Education and Equity, UNICEF
11. World Bank, (Final Report 18 March 2014), „Higher Education Financing in Latvia - Analysis of Strengths and Weaknesses“
12. <https://www.geostat.ge>
13. <https://matsne.gov>.
14. <https://charte.ge>
15. <http://iec.gov.ge/>
16. <https://eqe.ge>
17. <http://vet.ge>

18. <http://www.oecd.org>

19. <https://ourworldindata.org>